



საქართველოს  
საბჭოთაო მუზეუმი



გორი. ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმიდან  
მაღვარი ვ. მახარაძე

გარეკანის პირველ გვერდზე: სსრ კავშირის სახელმწიფო გერბი  
მეოთხე გვერდზე: ფოტოგრაფი მ. მიხაილოვიძე



## მეგობართა შეჯიბრება

სულ რამდენიმე თვის ისტორია აქვს ტიმონინოელ და ორთაჭალელ კოლმეურნეთა მეგობრობას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში ამხ. ნ. ხრუშჩოვმა სოფ. ტიმონინოს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა მოიხსენია, როგორც ერთ-ერთი მოწინავეთაგანი, რომელსაც თვალსაჩინო წვლილი შეაქვს ჩვენი ქვეყნისათვის უხვი ხანოვანის დაგროვებაში. ორთაჭალელმა კოლმეურნეებმა წერილთა მიმართეს ტიმონინოელ კოლმეურნეებს, რათა მათთვის გაეზიარებიათ მდიდარი გამოცდილება ზოსტენულის უხვი მოსავლის მოყვანისა და ბირუტყვის მაღალი პროდუქტიულობის საქმეში.

ორთაჭალელი კოლმეურნეები მიწვეული იქნენ ტიმონინოში. იქ მიღებული გამოცდილება ბევრად დაეხმარა ორთაჭალელებს სოფლის მეურნეობის სამუშაოთა უკეთ ორგანიზაციაში. ტიმონინოში რუს კოლმეურნეებთან ნამყოფი ამხანაგები თავისებურ ინსტრუქტორების როლს ასრულებენ ახლა ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში.

ორთაჭალელებმა ტიმონინოელთა მიხედვით მოახდინეს მეცხოველეობის ფერმის რეკონსტრუქცია.

ქართველ კოლმეურნეებს აინტერესებდათ ახლა თავიანთ კოლმეურნეობაში ენახათ უხვი მოსავლის ტიმონინოელი ოსტატები, ენახებინათ მათთვის თავიანთი ნამუშევარი, რუს მეგობრებს გაეზიარებინათ მათი მეთოდიური და აი ორთაჭალელ კოლმეურნეთა საერთო კრების დადგენილებით თბილისში სტუმრად მოწვეული იქნენ ტიმონინოელი კოლმეურნეები. დიდი სიამოვნებითა და მეგობრული გრძნობით გამოეხმაურნენ ორთაჭალელების მოპატიჟებას რუსი მეგობრები. საუკეთესო წარმომადგენლები გამოგზავნეს საქართველოში, რათა უფრო განემტკიცებიათ დაწყებული

ლი მეგობრობა, გაეღრმავებინათ სოციალისტური შეჯიბრება სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

დიდი ზემოთა და ალტაცებით შეგებნენ ორთაჭალელები სტუმრებს. ექვსი დღის განმავლობაში დაჰყავდათ ნაკვეთებზე, დეტალურად აცნობდნენ მათ კოლმეურნეობის მრავალდარგოვან მეურნეობას.

სტუმრებზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ორთაჭალელთა ზოსტენულის მეურნეობამ, მისმა მრავალსახეობამ, ტიპური მექანიზებული დიდი სათბურის მშენებლობამ, ყვავილების სიუხვებმა. ამავე დროს სტუმრებმა მეგობრულად მიუთითეს ზოგიერთ ნაკლოვანებებზე და საქმიანი წინადადებები შეიტანეს მათი ლიკვიდაციისათვის.

ტიმონინოელებმა დაათვალიერეს ქართველ კოლმეურნეთა ბინები, გაეცნენ მათ ოჯახებს.

დასასრულ შეჯამებულ იქნა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შედეგები.

საზეიმო სხდომაზე ტიმონინოელ კოლმეურნეთა დელეგაცია ორთაჭალის კოლმეურნეებს გადასცა წითელი დროშა, რომელსაც შემდეგი წარწერა აქვს: «მეგობრობის ნიშნად თბილისის გარეუბნის რაიონის მახარაძის სახ. კოლმეურნეობის კოლმეურნეებს მოსკოვის ოლქის რამენსკოეს რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან», «გაგაჩაღით სოციალისტური შეჯიბრება ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლისათვის».

ამ დროშას მეგობრობის დროშა შეარქვეს თბილისელებმა.

ეს მეგობრობა ახალ ძაღს, ენერჯის შემატებს ორივე კოლმეურნეობათა მუშაკებს, ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელი იქნება რუსი და ქართველი კოლმეურნეების განუყრელი მეგობრობის ისტორიაში.



### ამხანაგ ლაზარე მოსეს-ძე კავშირის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მოგესალმებიან თქვენ, ლენინის ერთგულ მოწაფეს და სტალინის თანამებრძოლს, თქვენი სამოცი წლისთავის დღეს.

საბჭოთა ხალხი დიდად აფასებს თქვენს, როგორც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი თვალსაჩინო ორგანიზატორისა და მშენებლის დამსახურებას.

პარტიული და სახელმწიფო მუშაობის ყველა პოსტზე თქვენთვის ჩვეული ენერჯით თქვენს მთელ ძალასა და ცოდნას ახმართ სსრ კავშირში კომუნისტების მშენებლობის საქმეს.

მთელი სულითა და გულით გისურვებთ, ჩვენო მეგობარო და ამხანაგო, ჩვენო ძვირფასო ლაზარე მოსეს-ძე, მრავალ წელს სიცოცხლეს და შემდგომ ნაყოფიერ მუშაობას ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ხალხთა საკეთილდღეოდ, კომუნისტების საკეთილდღეოდ.

საბჭოთა კავშირის  
კომუნისტური პარტიის  
ცენტრალური კომიტეტი.

სსრ კავშირის  
მინისტრთა საბჭო.

ფოტოზე: მარცხნივ — ტიმონინოელები ათვალიერებენ მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ორანჟერას. ქვემოთ — მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. პუზანსკი (მარცხნივ) გადასცემს მეგობრობის დროშას მახარაძის სახ. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. მიგრაიულს.



# ჩინეთის ახალი მშენებლობანი

ბრ. ზარალიძე

საქართველო

„არც ბრინჯის დასათესი ადგილი მაქვს და არც საფლავის გასაქრელი“.

ასეთი ძველი ჩინური ანდაზა. მართლაც მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ქვეყანაში ასეთი მილიონობით ადამიანი მემამულე-მანდარინებისაგან სასტიკ ექსპლუატაციას და საშინელ გაჭირვებას განიცდიდნენ. ჩამორჩენილი იყო მრეწველობა მაშინ, როდესაც თავისი ბუნებრივი სიმდიდრეებით ჩინეთი ერთ-ერთ უმდიდრეს ქვეყანას წარმოადგენს მთელ მსოფლიოში.

ჩინეთს არ გააჩნდა მეტალურგია—ეს წარმოების საფუძველთა-საფუძველი, არ გააჩნდა მანქანათმშენებლობა, ქიმიური მრეწველობა. ჩინეთი წარმოადგენდა მხოლოდ ნედლეულის ბაზას და გასაღების ბაზარს იმპერიალისტური სახელმწიფოებისათვის. საკარისია აღინიშნოს, რომ მრეწველობის განვითარების დონით და საერთოდ პროდუქციით ჩინეთი ჩამორჩებოდა არა მარტო ბელგია-სა ან შოლანდიას, არამედ ისეთ პატარა სახელმწიფოსაც კი, როგორცაა ლუქსემბურგი.

ჩამორჩენილი იყო სოფლის მეურნეობაც. ისტორიას არ ახსოვს, რომ ჩინეთს, ამ უდიდეს შესაძლებლობათა სახელმწიფოს, საკუთარი მარცვლეულით დაექაყოფილებინოს თავისი ქვეყანა, მაშინ, როდესაც მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ ნიადაგის წესიერი დამუშავების პირობებში ჩინეთს თავისი ერთი წლის მოსავლით (ბრინჯი, ხორბალი, ფეტვი, სოია და სხვ.) შეუძლია დააკმაყოფილოს მთელი მსოფლიოს მოთხოვნილება.

ახლა, სახალხო ჩინეთი უკვე არა მარტო აკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებას, არამედ 1951-1952 წლებში ჩინეთმა დიდი რაოდენობით გაუგზავნა ბრინჯი და სხვა საკვები პროდუქტები ინდოეთის დამშეულ მოსახლეობას. ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა სახალხო მთავრობა.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩინეთში დიდი მუშაობა ჩატარდა სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის. აღდგენილი იქნა დანგრეული საწარმოები, შახტები, ხიდები, არხები, ქალაქები და სოფლები. მაგრამ ჩინეთის მრეწველობა მაინც საკმაოდ ჩამორჩენილი რჩებოდა.

1953 წელს გარდატეხის წელია ჩინეთის სახალხო მეურნეობისათვის. ამ წლიდან დაიწყო მძიმე მრეწველობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის განხორციელება, რაშიც დიდ როლს უდიდეს დახმარებას უწევს საბჭოთა კავშირი. ამ დახმარების მსგავსი პრეცედენტი ჯერ ისტორიას არ ახსოვს და ცხადია, ჩინეთს ასეთ ნამდვილ დახმარებას ვერ გაუწევდა ვერც ერთი კაპიტალისტური ქვეყანა. საბჭოთა კავშირის დახმარება არის იაფი და ტექნიკურად პირველხარისხიანი, ამ უანგარო თანამშრომლობას საფუძვლად უდევს გულწრფელი სურვილი — დაეხმარონ ერთმანეთს და მიადწიონ საერთო ეკონომიური აღმავლობას.

ჩინეთის ახალი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს 21 მეტალურგიული და ქიმიური, 24 მანქანათმშენებელი ქარხნის, 24 ელექტროსადგურისა და რკინიგზის 10 ახალი ხაზის მშენებლობას. ახალმშენებლობათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია გიგანტური მძიმემანქანათმშენებელი ქარხნის მშენებლობა ქალაქ ტაიუანში (შანსის პროვინცია), აზიაში ერთ-ერთი უდიდესი მეტალურგიული კომბინატის მშენებლობა ან-შანში (მანჯურია), გიგანტური შიდროელექტროსადგურის მშენებლობა ქალაქ ჩუნცინში (მდ. იანძიზე), რომელიც ელექტროენერგიით მოამარაგებს მთელ დასავლეთ ჩინეთს; გაყვანილი იქნება 3000 კილომეტრის სიგრძის რკინიგზა, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ ჩინეთს უშუალოდ დააკავშირებს დასავლეთ ჩინეთთან (სინძიანი), შეიქმნება მრეწველობის სრულიად ახალი დარგები, როგორცაა სატრაქტორო, საავტომობილო, ბურთულსაკისარების, ელექტრომანქანათმშენებლობა, გემთმშენებლობა, ორთქლმავალგაონმშენებლობა, დაზგათმშენებლობა და სხვ.

დიდი მუშაობა ტარდება ახალი სარწყავი არხების მშენებლობის, ახალი მიწების ათვისების, ქარსაცავი და ნიადაგსაცავი ტყეების გაშენებისათვის და სხვ. ჩვენ მოგითხოვთ იმ ზოგიერთ დიად მშენებლობაზე, რომელსაც მთელი ჩინელი ხალხი აშენებს.

## ბოგოპარი იზნონსა

იუნდინზე ერთ-ერთი დიდი და ბოლოქარი მდინარეა ჩრდილო ჩინეთში. ძველად მას უწოდებდნენ უდინხეს, რაც „მუდმივ მოუსვენარ მდინარეს“ ნიშნავს. ეს სახელწოდება სავსებით ამართლებს მდინარის მოქმედებას. ყოველწლიურად მდინარე

ნაპირებიდან გადმოდის და წყლით ფარავს ნათესა და ტერიტორიებს დასახლებულ პუნქტებს. ხალხი მასიურად გარბოდა ამ ადგილებიდან და ამ მდინარის დასამორჩილებლად არაფერი კეთდებოდა.

მონდა ასეთი შემთხვევა: ერთმა იმპერატორმა ბრძანა მდინარე უდინხეს უწოდონ იუნდინხე, რაც ნიშნავს „მუდმივად წყნარ მდინარეს“ და რომ ამის შემდეგ მისთვის აღარავის მოეთხოვა ბოლოქარი მდინარის დამორჩილება.

ახალი სახელწოდება დამკვიდრდა, ხოლო გლეხობის მდგომარეობა, ცხადია, ოდნავადაც არ გაუმჯობესდა. 1912 და 1949 წელს იუნდინხემ შეიღვერა გარდღია ჯებირი და ექვსი ათასი კვადრატული კილომეტრი ფართობი დაფარა წყლით, წალეკა მთელი მოსავალი. 1939 წელს კი ისეთი წყალდიდობა იყო, რომ წყლით დაიფარა ტიანძინის მთელი რაიონი, შეწყდა ურთიერთობა პეკინსა და ტიანძინს შორის, სილით დაიფარა საზღვაო და სამდინარო ფარვატრები.

მხოლოდ სახალხო მთავრობამ მოჰკიდა ხელი მდინარე იუნდინხეს მოთვინიერებას, მით უმეტეს, რომ დიდია მისი ეკონომიური მნიშვნელობა ჩრდილო ჩინეთისათვის, განსაკუთრებით ჩახარისა და ხეების პროვინციებისათვის, სადაც მდინარე რწყავს თითქმის 50 ათას კვადრატულ კილომეტრს. ე. ი. გაცილებით მეტს, ვიდრე დანისა და ლუქსემბურგის ფართობებია ერთად აღებული.

იუნდინხე მიედინება გუანტინშანის (პეკინის ჩრდილო-დასავლეთით) ხეობაში, ორ მთას შუა და სწორედ აქ შენდება 45 მეტრი სიმაღლის კაშხალი, კლდეში გათხრება 496 მეტრი სიგრძის ვეირაბი, შენდება 8 რაბი წყალსაცავიდან წყლის რეგულირებისათვის. იქვე შენდება ჩინეთის უდიდესი წყალსაცავი, რომლითაც რეგულირებული იქნება იუნდინხეს რეჟიმი. წყალსაცავის ტევადობა იქნება 2,1 მილიარდი კუბმეტრი, ხოლო ფართობი 220 კვადრატული კილომეტრი. მშენებლებმა წყალსაცავს უკვე გამოუტენეს სახელი და „იუნდინხეს ზღვა“ უწოდეს.

წყალსაცავისა და კაშხალის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. ამ მშენებლობისაგან განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს პეკინის, ტიანძინისა და ხეების პროვინციის მცხოვრებლები. ეს გასაკვირია. მომავალში კაშხალი მათ მიწებს დაიცავს წყალდიდობისაგან, სარწყავი ფართობი გაიზრდება ორჯერ, სამეურნეო წყლით მომარაგდება პეკინი.

გუანტინშანის ქედის ერთ-ერთ მწვერვალზე უწინ აღმართული იყო სათვალთვალე პუნქტი. როგორც კი აიწვედა წყლის დონე იუნდინხეში, მეთვალყურეები დაანთებდნენ კოცონს, რეკავდნენ ზარებს და მოსახლეობას ამცნობდნენ წყალდიდობას.

ახლა სათვალთვალე პუნქტი უკვე საჭირო აღარაა. ახალი კაშხალი მზად არის შეაკავოს გიჟმაჟი მდინარის დაწოლა. ამიერიდან, იუნდინხე მართლაც წყნარი მდინარე იქნება და სავსებით გაამართლებს თავისი სახელწოდების შინაარსს.

## „ჩვენ დაგვი უნდა გამოვროთ ხუიხუს“

ასე განაცხადა ჩინელი ხალხის ბელადმა ამხანაგმა მაო ძე-დუნმა. ამ მოწოდებამ ფართო გამოხმაურება მოკვა ჩინეთის მშრომელებში და დაიწყო ჩინეთის ერთ-ერთი უდიდესი სახალხო მშენებლობა ხუაიხუსე.


კალგანის ქარხნის მუშებისა და ინჟინერების მიერ დამზადებული ქვანახშირის კონვეიერი.



ხუაიხე ჩინეთის დიდი მდინარეა. მისი სიგრძე 1.100 კილომეტრს აღწევს და მასში ჩაედინება 28 დიდი და 200-მდე პატარა მდინარე. თავისი სიგრძით იგი გაცილებით ჩამორჩება ხუანხესა და იანძის, მაგრამ მათზე ხშირად იცის აღიდგება. შემთხვევითი არ არის ის ფაქტიც, რომ ხუაიხეს „უბედურობის მდინარე“ უწოდეს კიდევ მეტიც, ხუაიხე მოხეტიალე მდინარეც არის. იგი უწინ ყვითელ ზღვაში ჩადიოდა, შემდეგ კი სამხრეთისაკენ იბრუნა ბირი და მდინარე იანძიში ჩადის.

რომ ხუაიხე მართლა უბედურების მდინარეა, ამას ადასტურებს შემდეგი ფაქტები: ორი ათასი წლის განმავლობაში მასზე ადგილი ქონდა 979 საშინელ წყალდიდობას. კატასტროფული წყალდიდობა იყო 1931 წელს, როდესაც ხუაიხეს აუზში წყლით დაიფარა 48.125 კვადრატული კილომეტრი ფართობი და უბინოდ დარჩა ოც მილიონზე მეტი მცხოვრები.

ამჟამად ხუაიხესა და მის შემდინარეებზე დიდი სამუშაოებია გაჩაღებული. შენდება გრანდიოზული შიდროელექტროსადგური, დიდი კაშხალი, წყალსაცავი, რომლის ტევადობა ათი მილიარდი კუბმეტრი იქნება. დაიწყო მაგისტრალური სანაოსნო-სარწყავი არხის მშენებლობა,



რომელიც ყვეოთელ ზღვასთან დამთავრდება. ამ არსის დანიშნულება იქნება წყალდიდობის დროს ხუაიხეს ქარბი წყლის გადასროლა ზღვაში. ამასთანავე, არხი გადაწყვეტს ჩრდილო ძიანის პროვინციის მიწების მორწყვის საკითხს. მთელი სარწყავი ფართობი ძირითადად გამოყენებული იქნება მარცვლეულისა და ბამბის კულტურებისათვის. ამ უკანასკნელის ფართობი 250.000-დან 812.500 ჰექტარამდე გაიზარდება.

ახალი კაშხალები და წყალსაცავები შენდება ხუაიხეს შემდინარეებზე. უკვე დამთავრდა სინხეს დიდი კაშხლის მშენებლობა, შენდება სამი დიდი წყალსაცავი, მათგან ყველაზე ტევადი იქნება ფოძილინის წყალსაცავი, რომლის მახლობლად შენდება ახალი ელექტროსადგური, ხე-ტყის სახერხის ქარხანა, ქალაქის ფაბრიკა და სხვ.

ხუაიხესა და მის შემდინარეებზე ყველა მშენებლობანი დამთავრდება 1955 წელს, რის შემდეგ მთელი სარწყავი ფართობი 2.812 ათას ჰექტარს მიაღწევს.

### „ღირი მხანა კიდეი“

ჩინეთში გადმოცემით იციან, რომ ოდესღაც მათი ქვეყანა დაბურული ტყეებით იყო დაფარული. ტყე იცავდა ნიადაგს, ინახავდა სინოტივებს, არბილებდა კლიმატს, არეგულირებდა მდინარეთა რეჟიმს. საუკუნეების მანძილზე ტყეები გაიჩეხა, განსაკუთრებით გომინდანილი მილიტარისტებისა და იაპონელი ოკუპანტების ბატონობის წლებში, რამაც დიდი ზიანი მიაყენა ნიადაგის ნაყოფიერებას, გახშირდა გვალვები და სხვა სტიქიური უბედურებანი, მილიონობით გლეხი უღუგამაპურად რჩებოდა.

ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის ნათესებს განსაკუთრებით დიდ ზიანს აყენებდა „ხუანშა“ („ყვეთილი ქვიშები“) — ყვეთელმტვრიანი ქარი, რომელიც შიდა მონღოლეთის მხრიდან მტვრით ავსებდა უზარმაზარ ტერიტორიებს და, ამასთანავე, ნიადაგს გამოუსადეგარს ხდიდა მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობისათვის. ქვიშები წინ იწევდა და სულ უფრო და უფრო დიდ ფართობებს იკავებდა ქვიშიანი უდაბნოები. თვით მანჯურების ყველაზე დიდ ქალაქ მუქდენს საფრთხე ემუქრებოდა.

ჩინეთის სახალხო მთავრობამ შეიმუშავა და 1950 წლიდან იწყა განხორციელება გრანდიოზული გეგმისა, რომლის ამოცანაა ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის ტერიტორიის დაცვა უდაბნოს ქვიშების შემოტევისაგან. ქალაქ ციციკარიდან სამხრეთით ქალაქ ძინჯოუსა და შანხაიგანამდე შენდება „დიდი მწვანე კედელი“, რომლის სიგრძე 1700 კილომეტრი იქნება და მხოლოდ ასი კილომეტრით ჩამორჩება ჩინეთის დიდ კედელს.

ცნობილი ჩინეთის დიდი კედელი აშენებულია ორი ათასი წლის წინათ და მისი საერთო სიგრძე ოთხი ათას კილომეტრს უდრის, ხოლო პირდაპირი მანძილი ორ კიდე შორის ათასრვაასი კილომეტრია. ძველი მსოფლიოს ამ ერთ-ერთმა სასწაულმა ჩვენს ეპოქაში დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა, სამაგიეროდ უდიდესი მნიშვნელობა ექნება და ნამდვილი საოცრება იქნება „დიდი მწვანე კედელი“, რომელიც გაუვალ ზღუდედ აღიმართება აღმოსავლეთ გობის უდაბნოსა და დასავლეთ მანჯურიას შორის.

შანხაის ელექტროძრავების ქარხნის მოწინავე მუშა ვინ ჩე-ხუა.



ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარე ან. მათ ძე-დუნი (მარჯვნივ) და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი ან. ჩუ დე.

## მ ა ო ძ ე - ღ უ ნ ი

ს უ უ ნ ი

(ნაწილები ლექსიდან „ღრო დაღა“)

ზღვა დღევას, გრგვინავს და ლურჯ ტალღებს ზეცისკენ ისვრის...

დღას ტრიბუნაზე ის—ჩინეთის ფარი და ხმალი, ისრების მსგავსად მოფრინავენ სიტყვები მისი, მტკიცეა, როგორც ტაიშანის კლდეები სალი.

ლენინის შუბლს ჰგავს მისი შუბლი: ძლიერი, ფართო, სარდლის სიმტკიცე—თვით სტალინის ფოლადის ნებას; მოწაფე მათი—უდიდესი, ერთგული, სანდო, დღეს ჩინეთის წინ ტრიბუნაზე ამაყად დგება.

აღუშართია მტკიცე მუშტი სავსეს იმედით და გეგონება, ხელთ უპყრია ფოლადის ნებით მდინარეები უთვალავი დიდი ჩინეთის, ბრძანებს, მას მიჰყვნენ, შეიცვალონ სავალი გზები.

უკვდავმა დანტემ დააწერა ოდესღაც ასე ჭიშკარს, რომლითაც საიქიოს ის შეიყვანეს: „აქ შემოსულნი ოცნებობენ შიშით აღსავსე, რომ ეს ადგილი საზარელი დასტოვონ მალე.“

დღეს კი ბელადმა და პოეტმა ჩინელი ხალხის, ამავე ხალხის მძლე გამრობით შთანაგონები, ახალ ჩინეთის შესასვლელთან, დიდ ალაყაფზე, ღრმად ამოჰყვითა მშვენიერი ეს სტრქიონები:

„ყვლანი, ვინცა ოცნებობდით ასალ სანაჭ, აქ მოდით ჩუმთან, ბვათაფსლო ბმვით, ბიდნიარბა გულდღვით ამ ქვეყანაჭ, აქამი ნეცარი და სათენო!“

ზღვასავით შფოთავს მოედანი აღელვებული და მიიწვიენ ტრიბუნისკენ ტალღები მალა, სადაც ურყევად და მტკიცედ დგას მათ ძე-დუნი, მარჯვენა ხელით წინ გზისკენ რომ გვითითებს ახლა.

გამჭირან თვალით წინ გასტეკრის მესაჭე დიდი, მრავალ მდინარის შენაკადებს ანხვავებს წამსვე, ყველა მათგანი ბობოქარი ზღვისკენ რომ მიდის, და მთელ ქვეყანას ის სიტყვებით მიმართავს ასე: კაცობრიობის მეოთხედი — აღსდგა ჩინეთი დევგმირის ძალით და მომავლის სავსე იმედით.

თარგმნა მ. ბაწუშქელაშ

დიდი სამუშაოები ტარდება ჩრდილო-დასავლეთ ჩინეთშიც. აქ ჩინეთის დიდი კედლის გასწვრივ ქალაქ იულინიდან (შენსის პროვინცია) ქალაქ ძიუ-ძიუნამდე (შანსუს პროვინცია) შენდება 1500 კილომეტრის სიგრძის მეორე მწვანე კედელი, რომელიც აღნიშნული პროვინციების ტერიტორიას დაიცავს უდაბნო გობის მოძრავი ქვიშების შეტევისაგან.

ახალი ნიადაგსაცავი და ქარსაცავი ზოლები მშენებლობა ჩინეთში დამთავრდება 1980 წელს, რის შემდეგ ჩინეთში ტყის მთელი არსებული ფართობი ხუთი პროცენტიდან ოც პროცენტამდე გაიზარდება.

მხოლოდ ოთხი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩინელმა ხალხმა განდევნა გომინდანილი სროვა და შეჰქმნა სახალხო რესპუბლიკა. ამ მოკლე დროში ჩინეთის მშრომელებმა არა მარტო აღადგინეს მრავალწლიანი ომებით გამოწვეული დანგრეული მეურნეობა, არამედ, ააშენეს ასობით ახალი საწარმო და წარმატებით შეუდგნენ მძიმე მრეწველობის განვითარების პირველი ხუთწლიანი — გრანდიოზული გეგმის განხორციელებას.

სულ მალე ჩინეთის საავტომობილო ქარხნების კონკეტირებიდან ჩამოვა მშობლიური ავტომობილები, ჩინური გემები გადასერავენ მსოფლიოს ზღვებსა და ოკეანეებს. ჩინელი მშრომელების მიერ აშენებული ორთქლმავლები და ვაგონები გადაჰყვითენ მთელ ჩინეთს—შანხაიდან შორეულ დასავლეთამდე, შიდა მონღოლეთიდან სამხრეთ მთიანეთამდე.

ყოველი ახალი დიდი მშენებლობა ეს არის თავისუფლებისმოყვარე ჩინელი ხალხის მტკიცე ნაბიჯი ბედნიერი, უკეთესი მერმისისაკენ.



## შენ გეხსოვება...

კაცკაციონის ქედი ზღაპრული,  
ერთი წამითაც თუ გაქვს ნანახი,  
შენც გეხსოვება სიზმრად ნახული —  
ბასრი შეხელდა და უშბა ამაყი.

შენ თუ თეთნულდის თეთრი კალთები  
გინახავს მზისაგან აღდაკრულლები,  
ქელმოღერილი გოლიათები —  
ელვით და მებით დაბზარულლები.

შენ თუ გინახავს ჩემი კერია  
ზომალდის მსგავსი, ნისლში მცურავი —  
ხახლს, რომ ღრუბელი თავს მოხვევია,  
ისე ვით ხონთქარს თავსაბურავი.

აღბათ გინახავს შმაგი ჩქერალი  
წაბრალეხს შორის აქაფებულნი —  
და შეგხვედრია გზად მომღერალიც  
იალბუზივით გათეთრებული.

შენ გეხსოვება ბიჭი პატარაც  
მოსიარულე სოფლის ღელესთან,  
ქალამნიანი და კაფანდარა,  
როცა სამღერლად ყელს იღერებდა.

შენ გეხსოვება მისი თვალები  
თაფლისფერი და საცრისოდენი —  
მე—ძე — ამ მთების და მყინვარების  
მჯერა, უთუოდ მოგაგონდები!



## საუუგკისთან

ვიცი ფუტკარზე უფრო მსუბუქი  
ამ ქვეყანაზე არავინ არი,  
მაგრამ მას ჩვენებრ უყვარს მზის შუქი  
და შრომობს, როგორც ადამიანი.

ჩახედე სკაში ფიჭის რვეულებს —  
სიტკობებისთვის ნაშენ სართულებს,  
სანთლის ჩუქურთმებს გადახვეულებს,  
და ერთმანეთზე გადახლართულებს.

ჩახედე სკაში კობტა აივნებს  
ნექტარით სავსე მრავალ ხარაჩოს,  
ერთ თარაზოში გამოყვანილებს,  
რასაც ფუტკარი შრომით დარაჯობს.

მინდვრის სურნელი სკაში ტრიალებს,  
სკაში ყვავილთა დიდი ბუღია,  
ფუტკარებსაც, როგორც ადამიანებს  
ბუნებისაგან წამოვლიათ.

შენც გამოხტაცე, ნუ შეშინდები  
მამულს ახალი სიტყვა უთხარი,  
სიტყვას რომ ახლდეს სიტკობ იმდენი,  
რასაც სკას აძლევს ერთი ფუტკარი...

მუდამ ჩემთან იქნები,  
სუფთა რიცხს ცასავით,  
სანამდის ვართ ცოცხლები,  
ჩვენ ერთი გვაქვს ფიქრები,  
ვიცი ორი ვარსკვლავი  
კვლავ შემხედავს ოცნებით.

ჯერ ადრეა, გავლიეთ  
ჩვენი წუთისოფელი,  
ტკბილიცა და მწარეცა,  
მაგრამ ჩემი ბრაღია?  
ბევრი წელი მოფრინდა,  
ნიაფივით გამექცა!

ვიცი, ვერ დავიბრუნებ...  
მხოლოდ აღმა მივლია,  
ბნელშიც ვიყავ მეგზური.  
მანაც შენთან მივლი, ისე  
არ შემიძლია, ვიცი რომ არ  
მემდურნი!

## განა რამე შეიძლება...

აი ჩვენი მთა გორები  
ჩანჩქერებით დახატული,  
მთის კალთაზე გადმოშვებული  
უთვალავი ნაკადული.

მოიმღეროს, მოჩქარილებს  
თვით ძუაზე უფრო წვრილი,  
ალაგ ელვად, ალაგ თითქოს  
ბილიკივით დაკლანილი.  
როცა უტკერ ნაკადულთა  
ერთ ღიდ ჩქერად შეერთებას, —  
იმ სიმღერას დაუვიწყარს  
განა რამე შეიძლება?!

როცა მესმის ნაკადულის  
ღულილი და ამღერება  
წაბრალიდან გადმოშვებული  
აქაფებულ ჩანჩქერებად.

მისწრაფვის, დაბლა, დაბლა,  
მიაქვს მთბლის სიმღერები  
და გუგუნით აცილებენ  
საქართველოს ლურჯი მთები...  
შეტე ხმა სურს მიიმატოს,  
ნაკადების შეერთებამ,  
დაუვიწყარ ამ სიმღერას  
განა რამე შეიძლება?!

მოქრის ბევრი ნაკადული,  
ერთმანეთში ჩახლართული, —  
ერთ სიმღერას აგუგუნებს  
უკვე ასე ნაკადული.

და წვეთი-წვეთს ემატება,  
მათი ძალაც ძლიერდება  
კალაპოტი აღარ ყოფნით,  
სურთ გზის გაგანიერება...

ზღვაში ჩავა, ზღვა არ ჰყოფნის,  
ოკეანეს დაიბუღებს,  
ჩანჩქერთა და მდინარეთა  
დიდ სიმღერას დაიჭუხებს.

დაიჭუხებს ისე მძლავრად,  
როცა იგრძნობს შეერთებას,  
დაუვიწყარ იმ სიმღერას  
განა რამე შეიძლება?!

თუშეცა ომში სიკვდილმა  
გამიშტერა თვალები,  
მაგრამ ვერ მოშეკარა,  
რადგან მწველი, ციმციმა  
ცეცხლი შენი თვალების  
მკერდზე ჯავშნად მიყარა!

აღმართზე რომ ავედი  
ერთხელ ფეხიც დამისხლტა  
ყინულიან ბილიკზე.  
ვიგრძენ შენი მკლავები,  
უცხად მესმა შენი ხმა,  
შენ არ იყავ ბირიმზე?!

ერთხელ როცა მწყუროდა,  
როცა გული მიხურდა,  
შენ გინატრე პატარავ,  
შენი გულიც გულობდა,  
ქარაფიან ჯიხურთან  
მომავლედ მათარა.

ჩვენი ოქროს დილები —  
ტკბილიცა და მწარეცა,  
შენთან განატარები,  
ჩემთან მოფრინილება —  
ნუთუ მართლა გამექცა,  
ციცხლი შემრჩა თვალების.

და იმ ცეცხლის ამარამ  
მსურს ქვეყანას ვუუურო,  
გზა არ გამოთავდება.  
შენ მიწამე — სხვამ არა,  
შენ ხარ ჩემი შუქურა,  
მიტომ არ მიღამდება.

ვიცი მუდამ იქნები  
სუფთა რიცხს ცასავით  
სანამდის ვართ ცოცხლები.  
ჩვენ ერთი გვაქვს ფიქრები,  
ვიცი ორი ვარსკვლავი  
სულ შემხედავს ოცნებით...

## მე რაჭილი ვარ შენი 'მეხისბან'...

შუადღე იდგა მწველი ზაფხულის,  
ჩვენში მთებშიაც იდგა თაქარა,  
უცხად საავდროდ შემონახული  
ქარმა ღრუბლები ხევში აჭყარა!  
ზეცა გამუქდა, მთებში დაბნელდა,  
სადღაც ხევებში ატყდა დგანდგარი  
და მე ლატფარის გადასასვლელთან  
წამომეწია გზაზე ავდარი.

თავზე დამესხა წვიმა შხაბუნა,  
თავს დამეყარა სეტყვა ქაჯეთის,  
როგორც ყანაში, მამაპაპურად  
ღრუბლებში მანაც მივალაჯებდი.

თხემზე ჯიხვივით ვნახე შემდგარი  
ფიჭვი — ღრუბლების მორევს ჩაფლული,  
მომესმა მეხის გრგვინვა მედგარი,  
ვიგრძენ ბუნების ძალა მშაკვრული.


განათდა. თვალი მომჭრა სინათლემ,  
ფიჭვს კი დაატყდა თავზე 'გრიგალი',  
და უნდა გითხრა ერთი სიმართლეც —  
მე რომ ვიგრძენი ომში პირველად  
შიში ვიგრძენი სწორედ იმგვარი.  
ზედ შუაგულზე დაჰქრა ურჯულთა  
და ფაჭვა ცეცხლას ჩინაზნი დაჰქარა,  
ის მანაც იდგა მკერდგარუჯული,  
მეხმა კი — ქვესკელს ჩაიხარხარა.

გულგაპობილი და მკერდდაჭრილი  
იდგა ამაყად ენაუთქმელი,  
აღარსად ჩანდა მენას აპრელაც —  
გარს ეხვეოდნენ მხოლოდ ღრუბლები...

გადარა. იყო მხოლოდ დაჭრილი,  
არ შიშობს თუ კი მოიღრუბლება,  
ტოტებგაშლილი, ცაშიაწვდელი  
კვლავ მზეს და ვარსკვლავს ეხაუბრება!..

მე ფიჭვის ბედიც ჩემსას ვამგვანე,  
მასავით ვიყავ მეც მკერდდაჭრილი...  
ახლა კი ხელით ვწვდები ვარსკვლავებს,  
მაგრამ თან დამსდევს შენი აჩრდილი.

მე დაჭრილი ვარ შენი მეხისგან  
და გული ისევ მაქვს გაპობილი...  
და შენთან ყოფნა თუ არ მეღირსა  
ამითაც, აღბათ, ვარ კმაყოფილი.



## ბ. ნაგროვილი

როგორც პრესაში უკვე აღნიშნული იყო, ამას წინათ ნიუ-იორკში გამოვიდა საკმაოდ სქელტანიანი კრებულები, რომელშიაც გამოქვეყნებულია ვატიკანის „თომა აქვინელის აკადემიის“ სესიანე წაკითხული მოხსენებები და გამოსვლები. შავანაფორიან ორატორებს ამ „მოხსენებებში“ მიზნად დაუსახავთ შეებრძოლონ დიპლომატიურ და ისტორიულ მატერიალიზმს, საბჭოთა იდეოლოგიას, კომუნისმის ფილოსოფიას. მაგრამ იეზუიტების მთელი ეს „იდეოლოგიური ლაშქრობა“ დაღდასმული და აღზევდილია ისეთი გონებრივი მოძრაობით, სიჩქარით, გაიძვირებით, ფარისევლობით, რომ მისი ბადალი და მსგავსი მხოლოდ ისევე ვატიკანის ისტორიის მოიძებნება.

ამ შავანაფორიან იეზუიტების ბოდავ სჭირდება მისრწინსა და სასიკვდილოდ განწირულ იმპერიალიზმს, რომელიც გაცოფებით ემზადება ახალი ომის ხაფიზის. ამ მიზნით ის, უსაქმოდ დარჩენილ ისეველ მკვლელებთან ერთად, თავს უყრის შავანაფორიან ბერებსაც; ეს უოლ-სტრიტის „იდეოლოგიური პროპაგანდა“!

მაგრამ ყოველივე ეს მოგვაგონებს მეტად იაფფასიან საცირკო ბალავანს, სადაც უხვდადა თვალთმაქცობა და ტაკი-მასხარული მალაყები... ოღონდ კი თავი მოაწონონ უოლ-სტრიტელ ბატონებს, ოღონდ კი დოლარების ქისა დაიმსახურონ და ვატიკანელი იეზუიტები არაფერს არ ერიდებიან: ხან ყირაზე დგებიან, ხან ისეთ სალტო-მორტალებს აკეთებენ, რომ ყველა გამოცდილ ჯამბაზს შეეხარება, ხანც კარგად გაწვრთნილი მაიმუნებით მბაძავენ ადამიანებს. შემთხვევითი ხომ არ არის, რომ სიტყვა კაპუცინი ერთსა და იმავე დროს ნიშნავს კათოლიკე ბერსაც და ამერიკის ტყეებში გავრცელებულ ფართოფეხიანი მაიმუნსაც... თუმცა სხენებზე მაიმუნებმა თავიანთი სახელი იტალიელი ბერებისაგან მიიღეს, მაგრამ ვატიკანელმა კაპუცინებმა ახლა ეს „პროორიტეტი“ დაკარგეს: მათ ხომ მწვრთნელებად სწორედ ამერიკელი იმპერიალისტები ევლინებიან.

ვინ მოსთვლის მთელი ისტორიის მანძილზე რამდენჯერ უმხილებიათ და მზის სინათლეზე გამოუთრევიათ მთელი სისაძაგლე და თვალთმაქცობა ვატიკანისა და საერთოდ კათოლიკური ეკლესიისა!

გაიხსენეთ ალორინების ეპოქის დიდოსტატები; რაოდენ ზუსტი და ამომწურავი, მართლაც გამანადგურებელი პორტრეტები შექმნეს მათ ვატიკანელი „სულიერი მამებისა“; აი თუნდაც ბატონი ჩაპელიტო, პერსონაჟი ბოკაჩოს ნოველისა „ყალბი აღსარება“. ჩაპელიტოს დიდ სირცხვილად მიანდა, თუ რომელიმე მისი შედგენილი სიგელი ყალბი არ გამოდგებოდა. მისი უდიდესი ნეტარება ის იყო, თუ ცრუმოწმედ დაუდგებოდა ვინმეს (ისევე, როგორც ახლა ვატიკანელი „მამები“ ცრუმოწმებდა უდგებიათ მაკარტებსა და მაკარტონებს, როცა ისინი ათასგვარ ცილისწამებას სთხოვენ); რაც უფრო მეტ სიანვეს დასთესდა, — განაგრძობს მწერალი თავისი პერსონაჟის დახასიათებას, — მით უფრო ხარობდა და ტკბებოდა მისი სული და გული. თუ ჩაპელიტოს ათხოვდნენ — მოგვეჩვენე ამა და ამა კაცის მოკვდავობა — ის უარს თავს დღეს არ ეტყოდა, ეწეოდა ყომარბაზობას და ყალბი კამათობით პარტნიორების მოტყუებას; შემდეგ მწერალი მოგვითხრობს, რომ როგორც კი მოკვდა ჩაპელიტო, კათოლიკე ბერებმა „მართალთა თანა შერაცხეს“ და „წმინდა ჩაპელიტო“ უწოდეს.

ათას წელზე მეტი ხნის განმავლობაში თემსახურებად ვატიკანი ფეოდალურ წყობილებას. კათოლიკური ეკლესიის მთელი იერარქია აგებული იყო ფეოდალური წყობილების მიხედვით და თვითონ ეკლესია წარმოადგენდა მსხვილ მიწათმფლობელს, რომელიც ცხრა პირ ტყუას აძრობდა გლეხობას და ამასთან ეხმარებოდა ფეოდალებს, რომლებიც ტყუიითსავე თარეშობდნენ ყველა ქვეყანაში, ძარცვავდნენ და იკლბდნენ ხალხს. და მთელი ეს ყაჩაღობა შეფარდებული იყო ვითომდა „რეციურის სათნების“ ფარისევლური ნიღბით. სტენდალი თავის შესანიშნავ წიგნში „გასეირნებაში რომში“ აღწერს რა პაპებისა, მათი კარდინალებისა და საერთოდ მთელი კათოლიკური სამღვდლოების გათახსირებას და გახრწინლებას — ამბობს, რომ ვატიკანელი იეზუიტები ისე იყვნენ შეგავსებულნი თავიანთი ცბიერების ნიღბით, როგორც შუასაუკუნეების რაინდები თავიანთი აბჯრითა და საჭურველით. დახს, ეს უწონო ფარისევლობა, ეს წრფადასული იეზუიტური თვალთმაქცობა მუდამ იყო და არის ვატიკანის იარაღი. დღევანდელი შთამომავლობა ამ ბატონი ჩაპელიტოების მტკიცედ მისდევს წინაპრების გზას. თანამედროვე ჩაპელიტოებმა, მიეჭირავენ რა იმპერიალიზმს, თავიანთ წინაპრებზე მეტად გაიწაფეს ხელი ყალბი სიგალების შედგენასა და ცრუმოწმებაში; ისინიც ისე ჰყიდიან და ყიდულობენ ყველაფერს, როგორც ბოკაჩოს დროინდელი იეზუიტები.

ფეოდალიზმის დროს, როგორც ვთქვით, პაპი — ხარბი და მტაცებელი ფეოდალი იყო; კაპიტალიზმის დამკვიდრების შემდეგ ის იქცა გაიძვირა ვაჭრად, კაპიტალისტად, რომელიც ძარცვა-გლეჯის მხეცური ინსტიტუტით არ ჩამოუვარდება თვით ფეოდალსაც.

ვატიკანს თავისი თანხები, რომლებიც მიღებული აქვს ძარცვა-გლეჯის გზით — დაბანდებული აქვს სამრეწველო საწარმოებში, სააქციო საზოგადოებებში, ყოველგვარ შემოსავლიან წამოწყებებში, თვით ბანქოს სათამაშო სახლებშიც კი. იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც გამოქვეყნებული იყო პრესაში, დასავლეთის სხვადასხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში ვატიკანს დაბანდებული აქვს 100 მილიარდი ფრანკი.

ყოველივე ამის შემდეგ გასაგებია, რომ კაპიტალიზმის ეპოქაში ვატიკანმა, თავის მთავარ ამოცანად დაისახა ბრძოლა მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ. ჯერ ისევე თავიანთ დიად „კომუნისტურ მანიფესტში“ კ. მარქსმა და ფრ. ენგელსმა კომუნისმის გაცოფებულ მოწინააღმდეგეთა შორის დასახელებს „პაპი და მეფე, მეტერნისი და გიზო, ფრანგი რადიკალები და გერმანელი პოლიციელები“. შემთხვევითი როდია, რომ მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლებმა პირველად რომის პაპი მოიხსენიეს ბნელი რეაქციის ძალთა შორის, კომუნისმის ეტლათა შორის. ვატიკანის მსვეურები, როგორც კარგად დაგეგმილი ქოვაკები, მუდამ იმის ცდაში იყვნენ და არიან, რათა საფუძვლიანად ჩაახშონ ყველაფერი ახალი, მოწინავე, ყველაფერი ნათელი, რასაც კაცობრიობა მიჰყავს წინ, უკეთესი მომავლის გზაზე. 1890 წელს პაპი ლევ XIII თავის ენციკლიკაში აღნიშნავდა, რომ ყველაზე დიდი საფრთხე „თანამედროვე საზოგადოებას“ (ე. ი. კაპიტალისტების ბატონობას) მუშათა მოძრაობისაგან მოეღოსო. იქვე პაპი აფრთხილებდა ბურჟუაზიულ მთავრობებს, რომ ეკლესიის დახმარების გარეშე

ვერც არმია, ვერც პოლიცია, ვერც სახმართლო ვერ გაუმკლავდებიან ამ საფრთხესო. პიუს X, რომელმაც ლევ XIII შესცვალა პაპის ტახტზე, ასევე ეკლესიის მთავარ ამოცანად სახავდა მარქსიზმისა და მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლას, ამასვე ქადაგებდნენ მომდევნო პაპები — ბენედიქტე XV და პიუს XI; ვინ მოსთვლის რამდენი საზოგადოებრივი ცილისწამება გადმოანთხიეს მათ, რამდენჯერ სცადეს ისტორიის ჩარხის უკულმა შეტრიალება. უკანასკნელი პაპი — პიუს XII (ადრე კარდინალი ევგენი პაჩელი) შიტლერის უახლოესი „სულიერი“ თანამეაბჯრე იყო, როგორც მეორე მსოფლიო ომის წინ, ისე თვით ომის წლებში. ფაშისმის ჯაშუშებსა და დივირსანტებს შორის ვატიკანელ იეზუიტებს მეორე მსოფლიო ომის დროს თვალსაჩინო ადგილი ეჭირათ. შიტლერული ფაშისმის დამხმარეა ძლიერამოსილი საბჭოთა არმიის მიერ — ეს იყო გამანადგურებელი დარტყმა ვატიკანის მიმართაც.

ახლა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ვატიკანელმა ინკვიზიტორებმა ახალი ბატონები იშოვეს; ისინი ადრეც ულოკავდნენ ჩექებს უოლ-სტრიტელ მაგნატებს და ახლაც მათი ბრძანებით ჩამბულიან არიან ე. წ. „ცივი ომში“, რათა ჩამოხდნენ მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკს. თვითონ მათს „აკადემიას“ ტყუილად კი არ ეწოდება თომა აქვინელის სახელი; თომა აქვინელის შუასაუკუნეებრივი სქოლასტიკა დიდი ხანია გამოცხადებულია ვატიკანის ოფიციალურ ფილოსოფიად. იგი შეფარდებული და შეერთებულია იმპერიალიზმის კაცთმომძულე იდეოლოგიასთან და ვლდებულობთ ისეთ საცარე უხამს წარევს, რომლის დასახასიათებლად მართლაც ძნელია შესაფერი თერმინი მოიძებნოს. პირდაპირ რაღაც ჯამბაზური სალტო-მორტალეა! აბა, მაგალითად, რომელ ნორმალურ ადამიანს მოუვა ფიქრად, რომ საბჭოთა შუმიანიზმის სათავეს წმინდა ფრანცისკო ასისელების ბიოგრაფიაში დაუწყეს ძებნა... ნორმალური ადამიანისათვის ეს წარმოუდგენელია, მაგრამ სხენებული კრებულის მონაწილე, სისხლის სამართლის პროფესორი ჯულზებ ბეტოლი სწორედ ამას „ამტკიცებს“ და ბრძოლას უცხადებს ფრანცისკო ასისელებს, ეჭვის ქვეშ აყენებს მასაც კი. პროფესორი „იხილავს“ სისხლის სამართლის საბჭოთა პრინციპს (არა შურისძიება, არამედ დამნაშავეს გამოსწორება), ამბობს, რომ ამ „მდებრებს“ შუმიანიზმამდე მივყავართ და ამაში ბრალს სდებს... ფრანცისკო ასისელებს; აქვე ბეტოლი მგვამბს და ჰკიცხავს რა ფრანცისკოს, აღნიშნავს, რომ თურმე საჭირო ყოფილა კაცობრიობა გაშყვეს თომა აქვინელს და მასინ თურმე ყველაფერი წესრიგზე ქენება. მთელი ამ ბოდავიდან გასაგებია მარტო ერთი რამ: სახელდობრ ის, რომ ბეტოლი ისე გაუფიქრებია საბჭოთა ადამიანის შუმიანიზმს, რომ თვითონაც აღარ იცის რას რომავს და ჩიხავს!

მეორე ანაფორიანი კალმოსანი გაბრიელ როსკინი საოცრად ალუსფიფობა იმას, რომ საბჭოთა კავშირში დაშვარებულია ქალის თანასწორუფლებიანობა მამაკაცთან. იეზუიტე მჯღაბნელის აზრით, თურმე ეს შეცდომა ყოფილა. და აქ ის იმეწმებს კვლავ თომა აქვინელს. წმ. თომას აზრით თურმე ღმერთმა ქალი მამაკაცის წიბოდან იმითომ შექმნა, რომ ამათ თქვა — შენ იმის თანასწორი ვერ იქნებო. თურმე სულ სხვანაირად იქნებოდა საქმე, ღმერთს ქალი მამაკაცის წიბოდან კი არა, თავიდან რომ გაეჩინა... რანაირი „მოაზროვნება“ და საკითხის „დრმა მცოდნეა“ ეს როსკინი — იქილანაც ჩანს, რომ მას ზგონებია „მმაჩი“ საბჭოთა კავშირში — ეს იგივე სახალხო სასამართლოა. აი ასეთი „ცოდნით“ შეიარაღებული კაპუცინი წერს შრომას თემაზე — ქალთა საკითხი საბჭოთა ქვეყანაში.

ახეთივე „ცოდნის“ და „ურუდიცია“ ახასიათებს კრებულში მოთავსებულ ყველა „ნაშრომს“. რა საკითხს არ შეხებიან სხენებულ სესიანე: აქა ჯორჯო ლაპარას მოხსენება „მარქსიზმი და ქრისტიანობა — ორი მოწინააღმდეგე თეოლოგია“, გულტავ გუნდარის „კომუნისმი, როგორც იდეოლოგიური სისტემა“, გულტავ ვუტერის „მეცნიერება და საბჭოთა კულტურა“, პიეტრო პავანის „კომუნისმი და პირველების თავისუფლება“, ჯგვანა ლუიმეს „მუშები რუსეთში“ და ა. შ. და ა. შ. ამ ანაფორიან სქოლასტიკებსა და იეზუიტებს გარეუთლა სინიორა ბიანკა მანინი, რომელსაც წაუკითხავს მოხსენება თემაზე — „კომუნისმის იდეოლოგია და ჰუმანიტეტის ფილოსოფიური პრობლემა“.

რა კალამი აღწერს, რაც მათ აქ სისულელები დაუფრქვევიათ! ზემოთ ვნახეთ, რომ ჯულზებ ბეტოლი მარქსს ფრანცისკო ასისელების მოწაფედ თვლიდა. ჯორჯო ლაპარა კი „ამტკიცებს“, რომ მარქსი თურმე იგივე... ჰეგელია! იქვე იმავე კრებულში გვეღობ პეტერფი ამბობს, რომ მარქსიზმი თურმე სპენსერის ევოლუციონისმი! იეზუიტე გულტავ ვუტერი იქამდე მისულა, რომ ბოდავს: ლიტერატურისა და სოლოფების პარტოფლობა, რომელსაც საბჭოეთში იცავენ. მართლმადიდებლური ეკლესიის პრინციპებთან გამომდინარეობს.

ახე ბრძანებ მარქსიზმს ბატონი ჩაპელიტოები! მაგრამ ვინდა უდგებს ყურს მათ ლაპობას; თვით ამერიკაშიც კი, კათოლიკური უნივერსიტეტის მასწავლებლის, კათოლიკე-მღვდლის მ. კირშის ცნობით, ყოველწლიურად ეკლესია ჰკარავს ნახევარ მილიონ მორწმუნეს. ეს პროცესი ხალხთა გამოაზიზრებისა და დანარჩენ კაპიტალისტურ ქვეყნებში უფრო სწრაფად ტემპით მიდის. ხალხები უხმენენ არა ამ გახრწინლ კაპუცინებს, არამედ მსოფლიოს მოწინავე მწერლებს და მეცნიერებს, რომელნიც მხურვალედ უჭერენ მხარს მშვიდობის და დემოკრატიის ბანაკს, მის სახელოვან ავანგარდს — საბჭოთა ქვეყანას. მსოფლიოს ხალხები მამაკურად ებრძვიან ამერიკელ ომის გამჩალებლებს. კაპიტალისტური სისტემა განწირულია დასაღუპავად და მას ვერაფერი ვერ იხსნის: ვერც რომის პაპის ლოცვები და ნციციკლები, ვერც ის „ნაშრომები“, რომელსაც პაპის ხელქვეითები სჯღაბნიან.





ათ. შალამბურიძე

ნახი კილასონია

ჭაინრის ჰაინე

## გახსენება

აღმართში ნაბიჯს ლურჯა ანელებს,  
თითქო ნიავის ქროლვაც მინელდა;  
იქნებ აქ შევხვდე გურჯაანელებს,  
მათ შვიდთა ძმათა მონადირეთა.

სოფლის გზაზე ვარ... აგერ იხვები  
წყალში ცურავენ, როგორც ნავები;  
ცხენიდან განზე გადავიხრები—  
ნაომარ ვაქცავს დავემგვანები!..

ისევ ვეწვიე  
ფრთამაღ მხეწვიებს  
და ჯგჯილივით მიჯრილ იფნიანს;  
აქ მირუჯავდა ცხელი მზე წვივებს,  
აქ ჯოხის ცხენით მიჯირითინა!..

აქ, ჩემს მეზობლად მცხოვრებ შეგირდებს,  
თვითონ ყმაწვილი, კაცურ ვუტევიდი...  
სახლის ერთოზე მოჩანს ჯერ კიდევ  
ჩემი ბავშვობის ნაცულულტევი!..

შეეყურებ სახლს და ნანინად მესმის  
ატმის ტოტების ჩურჩული ქართან;  
აქ რომ შემომხვდა პირველი ლექსი —  
თბილისში ვეფხვის მოვარდნას გავდა...

ძვირფასა მხარე!  
ტკბილი ხარ მეტად,  
დასაბამიდან შენი მზე მრუჯავს;  
მესალმუნება მე, როგორც დედა  
შენი ყოველი ბალი და ქუჩა.

ლიმილით ვხვდები მკლავმავარ ბიჭებს,  
გკოცნი და გკოცნი დაცვარულ ვარდებს;  
ასე ხალისით — ბაბუა მიმხერს,  
ასე თამაშით — მურია დამდეგს.

## კუპკინის სუკათოზა

რა უღვთო იყო სიკვდილი მისი.  
ის მწარე ჟამი მეხატვის თვალწინ  
და არ მშორდება ერთი წუთითაც, —  
როცა თოვლს ზოლად დააჩნდა სისხლი.  
როცა დავცა მართალი კაცი,  
კაცი, რომელიც ნათელს უდრიდა...

ეხ, სინანული თუმც არის გვიან,  
სულში სურვილი მეჭრება მკვეთრად;  
რომ ვყოფილიყავ ცოცხალი იმ დროს, —  
მე შევხვდებოდი დანტესის ტყვიას  
დავამშვენებდი პუშკინის სტრიქონს  
და ვიცოცხლებდი პუშკინთან ერთად!..

## აკ გეყვარები?

ტანთ ნაწვიმარი მარმაში მეკვა  
ქარმა მაჩუქა ფერი მძივების,  
მცხეთის უბიდან ეშუხერდი ზეცას  
და შენზე ფიქრით ვერ ვიძინებდი.

გზებს გაველივარ ბილიკს თოვლიანს,  
და ქარიშხალთან მქონია დავა,  
შენ ერთგულედა არ გითხოვია  
მე ქვეყნად შენი ერთგული დავალ...

ცალირემივით ვტოვებდი ქალაქს,  
რომ ტყის დუმილში ლექსზე მელოცა,  
შენ ისევ ლურჯი თვალეები დაგაქვს,  
მე ისევ ბავშვის გული შემომრჩა.

პატარა ქალი, პატარა გული  
და სიყვარულით სავსე თვალეები,  
მე ნაწვიმარი ვით გაზაფხული  
არ გეყვარები?

## ლოჰკინა

ჩქარა დაფდაფი! მარკიტანტ ქალთან  
მხდალი ბავშვივით ნუ გაწითლდები!  
ეს არის მთელი მეცნიერება,  
აზრი და არსი ყველა წიგნების.

გამოაღვიძე დაფდაფით ხალხი,  
გათენდა, ზეცას ცეცხლი ედება!  
დაჰკარ ცისკრისა! სულ წინ იარე,  
ეს არის მთელი მეცნიერება.

აი ჰეგელის ფილოსოფია,  
აი წიგნების აზრი და არსი!  
მე ვარ მედოლე რევოლუციის,  
კარგად შევიცან დაფდაფის ფასი.

გერმანულიდან თარგმნა აკაკი ზქალუაშვილი

## ო. აროსია

### ნაკუზდელია გათი სახელი

იყენენ ისინი! მათი სინათლე  
მბუტუაღი... ზოგჯერ თითქოს ნათელი,  
ძალ-ღონე ჰქონდათ  
ჩვენს დიდ წინაპრებს...  
მაგრამ, სად ჰქონდათ სითბო ამდენი!

გლეხი ტანჯული და მოუცლელი  
თავისუფლების მარად მნატურელი, —  
იყო უდრეკი, მტერთშემმუსვრელი  
და ქვეყნის დარდის მიმომხანტველი...  
მოწყურებულმა ბედნიერებას  
დროშები დაბლა როდი დახარეს!..  
მათ რომ ემძიმათ, ის ძლიერება  
ვძლიეთ, დავამხეთ და ეს მახარებს!..

წელგამართულნი, უშიშარები,  
შავბნელ დროების გადამლანჯელები...  
შორი გუგუნის ისმის ხარების  
წარუშლელია მათი სახელი...

## ალექსა სუციშვილი

### ყანასთან

მკერდსავსე ყანას შევცქერი  
მე რომ გავთოხნე ის არი;  
სიმინდს მოუჩანს უღვავი  
კარგი ნამუსის ნიშანი.

სიტყვა არ გაუტეხია,  
გული არა მაქვს ნაკლული;  
სამ-სამი რარო დამშვენდა  
ჩალის მკლავებში ჩაქრული.

სიმინდის ღერო ირხვევა  
წელხანჯლიანი ნაცვარი,  
ელავს ვაქცავს კბილივით  
ტაროზე თეთრი მარცვალი.

## შუკამუღ მუკიძი

\* \* \*

შენი ტრფიალი არ მქონდა განა?  
შენი ალერსი დამქონდა თანა.  
საცაა გულზე დავიციე დანა...  
კვლავ ჩემი ქვეყნილი ბედი მომაგონდა!

აპრილმა მოლით მოჩითა ველი,  
ველზე ქანაობს ნიავი ნელი.  
ვიგრძენ თუ არა მინდვრის სურნელი,  
შენი დალალების ფშვენა მომაგონდა!


ღვინოს რომ ვსვამდი კათხით და ჯამით,  
წამით შლგეს ვგავდი, ბრძენს ვგავდი წამით.  
გულს განმეწონა ისარი და მით  
შენი წამწამები ისევ მომაგონდა!

არ შევებუე უდაბნოს დუღილს,  
მანჩრობდა ხვატი, მბუღავდა ბული  
და მაშინ — შენთვის ეს რამედ თუ ღირს  
მე შენი თვალ-წარბის ჩერო მომაგონდა!

მთვარე ხარ, მაგრამ თვით ბადრი მთვარე  
შენს გვერდით ნაბავს დარცხენილ თვალებს  
მინდა შენ ფერხთით განვერთხო ბარემ...  
ვაიმე, მაგ ფეხთა ცეკვა მომაგონდა!

იქნებ ვიყავი მე შლუ და ყბედი,  
რად მსჯიდი? ისეც მსჯიდი მე ბედი.  
დამიხლოვე, მუკიმი გვედრი,  
ვაი, შენთან ყოფნის ჟამი მომაგონდა!

უზბეკურიდან თარგმნა მამბალი თოდუაშვილი



# მკთ სკლამოს

პ. ყიფიანი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მხატვარი ა. ბანძელაძე

ნუგზარს სადილი რატომღაც ეგემური ეჩვენა, მაგრამ ცოლისათვის არაფერი არ უთქვამს, წამოდგა და კარადიდან ნაცრისფერი, საზაფხულო კოსტუმი გადმოიღო.

— მიღიხარ? — თავი არ მოუბრუნებია ისე ჰკითხა ზეინაბმა.

— მივდივარ — უპასუხა ნუგზარმა. ის რატომღაც დიდხანს დაჰყურებდა კოსტუმს, თითქოს ეუცხოებოდა, ეტყობოდა რაღაცაზე ფიქრობდა.

— საზამთრო რომ ჩავაციფეთ?... აღარ გინდა? — აღერხიანად წარმოთქვა ზეინაბმა. სკამიანად უკან გადაიხარა და თავი რომ შეეკავებინა ქმარს ხალათის კალთაში ჩასჭიდა თითები. ნუგზარმა ხელი გააშვებინა.

— მიჩქარება!

ზეინაბი გააოცა ასეთმა მოკლე და ცივმა პასუხმა. სხვა დროს ნუგზარი იტყოდა: „პატარა საქმე მაქვს ზეინაბ, ამ წუთში დავბრუნდები, არ მოიწყინო უჩემოდო“. ახლა კი ერთადერთი სიტყვა... თანაც ისეთი კილოთი ნათქვამი, რომ ზეინაბს სულ სხვანაირად მოეჩვენა: „კარგს იზამ, თუ შეკითხვებით გულს არ გამოიწყალე“, ამბობდა თითქოს ნუგზარის თვალში. ნუთუ მართლა ეს გაიფიქრა ნუგზარმა? ახლავე შეამოწმებს, კიდევ რამეს ჰკითხავს ნუგზარს და თუ ისევ ცივად უპასუხა...

— მე კი მიგონა, ამ საღამოს არსად წახვიდოდი — ზეინაბმა თავს ძალა დაატანა, რომ აღელვება არ შემჩნეოდა.

— რატომ ვითომ?! — გამომწვევად ჰკითხა ნუგზარმა და ხალათი გაიხადა.

— რატომ და პროექტი მაქვს დასამთავრებელიო, ასე არა თქვი?

— ღამით დავამთავრებ! — ნუგზარს ხმაში ოდნავი გაღიზიანება დაეტყო, მხოლოდ ისეთი, როდესაც საკუთარი თავით არიან უკმაყოფილო. ყური მიუგდო, კიდევ რამეს ხომ არ მეტყვის ცოლიო, თითქოს უნდოდა, ზეინაბს ისეთი კითხვა მიეცა, რომ ველარაფერი ეპასუხნა მისთვის და სახლში დარჩენილიყო. ცოლა ხნით დაელოდა, მერე პირსახოცი აიღო და სამზარეულოში გავიდა. „განა ვაშვებ რამეს? მე მგონი — არაფერს. ეთერი ხომ ჩემი სტუდენტობის ამხანაგია, მთხოვა შევხედეთ სადმეო, განა უარის თქმა შეიძლება? ხომ დამცინებდა გულში, მივად და ვნაჟო, იქნებ რაიმე დახმარება სჭირდება ჩემგან?...“ — ფიქრობდა ნუგზარი და პირსახაბიდან უხმაურად მომდინარე წყალს ხან ლოყას უშვერდა, ხან მკლავებს, ხან კისერს.

როდესაც პირი შეიმშრალა, სამზარეულოს ღია ფანჯარასთან მივიდა და ცას ახედა, წვიმას ხომ არ აპირებოდა. სწორედ ამ დროს ფეხზე პატარა ფისო შეაცოცდა, მერე მაღლა შეხტა, უნდოდა პირსახოცისთვის ბრწყალი გაეკრა. ნუგზარმა ძირს დაიხედა და გაშეშდა; მის წინ ეგვო ტალახით შესვრილი ძველი ფეხსაცმელი, გამხმარი და დამტვერიანებული. ერთ დროს დასველებულიყო და გაშრობის შემდეგ ლანჩი კოვზის გულივით გალუნვოდა. ხის

ყუთსა და კედელს შორის ამ ფეხსაცმელის მეორე ცალს გამოეყო ცხვირი. ისიც ტალახიანი იყო. ალბათ, კატამ გამოათრია თამაშ-თამაშით. ნუგზარი სხვა შემთხვევაში, რასაკვირველია, ყურადღებას არ მიაქცევდა ამ ფეხსაცმელს, მაგრამ ტალახმა, ამ ქვასავით გამხმარმა, ყვითელმა ტალახმა უნებურად გაახსენა ორი თვის წინათ მომხდარი ამბავი, რომელიც ამ ტალახით გადურეცხავი მოეჩვენა ნუგზარს...

მაშინ სამშენებლო ფაკულტეტის მეოთხე კურსზე სწავლობდა, გამოცდები ახლოვდებოდა და ამიტომ საჯარო ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარი გახდა. დიდი ხანი საღამომდე მეცადინეობდა. მხოლოდ ხანდახან თუ ადგებოდა პაპირის მისაწვავად. საღამოს კი ინსტიტუტში მიდიოდა ლექციებზე.

ერთხელ ბიბლიოთეკის კიბეებზე ვიღაც გოგონას შეეფთა, ორივე თავჩალუნული მიდიოდა და კინაღამ შეეჯახნენ ერთმანეთს. გოგონამ მეტყველი თაფლისფერი თვალები მიაპყრო ნუგზარს და გზა განაგრძო. ის გამომეტყველება ახლაც ახსოვს ნუგზარს. ალბათ გოგონა ბიბლიოთეკაში დიდი ხნიდან დადიოდა. მაგრამ ნუგზარმა მხოლოდ ამ შემთხვევის შემდეგ მიაქცია ყურადღება. სახელსაც მოჰკრა ყური, როდესაც ეთერი თავის ამხანაგს ებახებოდა. შემთხვევითვე გაიცნეს ერთმანეთი. იქნებ არც იყო შემთხვევით, რა იცის ნუგზარმა... ამას მოჰყვა პირველი პაემანი, ეთერთან დაახლოება, ახალგაზრდული ოცნებები, — მაგრამ... მაგრამ ნუგზარი გრძნობდა — არ უყვარდა ეს ქალი, არც შეიძლება და რომ შეჰყვარებოდა; ეთერი არ იყო თავდაჭერილი, არ იყო გულისხმიერი, არასდროს არ აღფრთოვანდებოდა კარგი წიგნით, კარგი კინოფილმით, თითქოს ბუნებას მისთვის წაერთმია სიხარულის გრძნობა, ეთერმა სიცილიც კი არ იცოდა წესიერად, თითქოს იგი ნახევრად ცოცხლობდა, მაგრამ მაინც ღამაში და მიმწვედი იყო. ქალის გულში, ალბათ, ადრევე იგრძნო ნუგზარის გულგრილობა — თანდათანობით ჩამოშორდა და დაივიწყეს კიდევაც ერთმანეთი.

ნუგზარმა ინსტიტუტი დაამთავრა. ჯერ სამგორში მუშაობდა, როდესაც ზემო მაგისტრალური არხი გაიხსნა, თბილისში გადმოვიდა და სპაროქტოში განაგრძო მუშაობა. სწორედ იმ ხანებში შეერთო ცოლი — მისი პატარა, სათნო ზეინაბი. ნუგზარს მთელი სიძლიერით შეუყვარდა ახალშემქნილი ოჯახი. ამ სიყვარულის მიზეზი ზეინაბის ხასიათი იყო.

ნუგზარი გატაცებით მუშაობდა სპაროქტოში. მშენებლობაზე მიღებულმა პრაქტიკამ თავისი შედეგი გამოიღო; მას ძალზე უაღვიღებოდა კონკრეტული ჰიდროტექნიკური პროექტების შედგენა. დაუშრეტელ ენერჯიას გრძნობდა ნუგზარი, თითქოს სპაროქტოში დახაზულ მომავალ ელსადგურთა მთელი სიმძლავრე მის სხეულში გადმოსულიყო... მაგრამ ამ ორი თვის წინათ შემთხვევით შეხვდა ეთერს, შეხვდა და, თვითონაც არ იცის რატომ მოხდა ასე, ხანლამდე მიაცილა... ამის გახსენება ახლა აღარც

სურს ნუგზარს, დაივიწყებს, თითქოს არასოდეს არ მომხდარიყო... გვიან იყო და ტრამვაი აღარ მუშაობდა, ამიტომ ფეხით მოუხდა წამოსვლა, სწორედ იმ ღამით მოუსწრო წვიმამ და ეს ფეხსაცმელებიც მაშინ დავსვარა. მას აქეთ იღარც მათუცვამს...

ჰო, გაცივდა, მაგრამ განა ახასოღეს გაუცხოება ბია ამხანაგი ქალები? განა იმ ღამით მოხდა რაიმე განსაკუთრებული? მოხდა. მაშინ ნუგზარმა იგრძნო, რომ ძველებურად იზიდავდა ეს ქალი. ამიტომ იყო სწორედ, რომ იმ ხანებში თვალს ვეღარ უსწორებდა ერთგულ და მოსიყვარულე ზეინაბს. აქამდე რომ დაფიქრებოდა განა თვითონ ვერ მიხვდებოდა საკუთარ დანაშაულს?...

დღეს კიდევ ვიღაც ქალმა დაურეკა სამსახურში, პაემანი დაუნიშნა და მხოლოდ ბოლოს, სულ ბოლოს გაამუდგანა თავისი სახელი... ეთერი ვარო.

ახლა, ალბათ, გამოსული იქნება სახლიდან და ოპერის შენობისაკენ მოიჩქარის...

უცერად დაიჭუხა და ნუგზარი ფიქრებიდან გამოერკვა. ფანჯარაში გაიხედა. ბინდებოდა, წვიმის მსხვილი წვეთები თანდათან აშვებდა ეზოს თეთრ ქვანელს. ღია ფანჯრიდან რაღაც სასიამოვნო სურნელება შემოიჭრა: ნუგზარს თავისი სოფელი გაახსენდა, ბავშვობისას, ჭექა-ქუხილის შემდეგ ხშირად უგრძნებია ეს სურნელება.

ასეთი წვიმა იყო იმ ღამითაც, ეთერი რომ გაცივდა...

ნუგზარი უცერად დაიხარა და ტალახიანი ფეხსაცმელი ხელში აიტაცა. მერე პირსახაბის თავზე მიგდებული ტილო წყლით დაასველა და ფეხსაცმელს გადაუსვა. ტილოდან წყალმა გამოყოფა და რამდენიმე წვრილ ნაკადად დაჰყვა ფეხსაცმლის პირს. ნუგზარმა ჟინიანად, საქმით გატაცებული ადამიანისთვის დაიწყო წმენდა. ტალახი გალბა და ადვილად მოშორდა ტყავს. ფეხსაცმელი აბზილდა.

უცერად სამზარეულოში ზეინაბმა შემოიხედა.

— აქ ხარ? მე კი, რატომღაც წასული მეგონე — თითქოს ეძინათ, თვალები მოიფშვინტა ზეინაბმა და ქმარს მიუახლოვდა — რას შვრები ნუგზარ, ღმერთო მოკალი, რატომ დამვიწყებია გავწმენდა? ვერ მითხარი, თუ ამის ჩაცმა გინდოდა? — შერცხვა ზეინაბს და ფეხსაცმელისაკენ ხელები გაიშვირა.

ნუგზარმა ცოლს ნაზად აკოცა.

— ამას მე თვითონ გავწმენდი. შენ კი სახაზავი დაფა გამისუფთავე, დამტვერიანებული იქნება; საზამთროც დამიჭერი, ჩემო ზეინაბ!



# სიყვარული



ქ. შოშიაძე

მთხრობა

გზაზე ერთად მიდიოდნენ. გაყინული თოვლი ფეხის ყოველ გადადგამზე წრავსუნებდა. ყველა მიიჩქაროდა, მაგრამ ახალგაზრდა ბრიგადირი მურმანი განგებ მიაბიჯებდა ნელა, რომ სანატრულ ქალიშვილთან უფრო მეტ ხანს ყოფილიყო. ეს ქალიშვილი კატო გახლდათ, რომელსაც მეზობლები „სოფლის თვალს“ ეძახდნენ. კატოც ბრიგადირი იყო. მისი ყანა და ბოსტანი ავ თვალს არ ენახებოდა. მურმანს დიდი ხნის ნატვრა აუსრულდა. კლუბიდან შინ მიმავალ კატოს დაეწია და ხელის ჩამორთმევისთანავე ჰკითხა:

- მარტო რომ მიდიხარ არ გეშინია?
- რას ამბობ ბიჭო! მე რა შშიშარა მნახე!
- აბა რა ვიცი, სულ ამხანაგებში ხარ, შენთვის სიტყვა ვეღარ მითქვამს. მურმანს კიდევ უნდოდა, რაღაც ეთქვა, მაგრამ ზურგს უკან კატოს დედის სალომეს სიტყვები მოესმა:
- როგორ მისერიანობთ. ზაფხული ხომ არ გგონიათ?
- ჩემთვის მუდამ ზაფხულია! — ჩაიცინა მურმანმა.
- შენ რა გიჭირს შვილო, მე კი შეშა მითავადება, — შესჩვილა სალომემ, — ამ გოგოს ვეზეფები და ერთი ურემი ვერ ვაშოვნივ, შენი ბრიგადისას ხომ არ მათხოვებ?
- რატომ არა, — გაეხარა მურმანს.
- კარგი; დედა, ნუ აწუხებ, ურემს მე მოვიყვან, — შერცხვა კატოს.
- რას ამბობ გოგო, ეს რა შეწუხებაა, შეშას ხვალვე მოგიტანთ, — მზრუნველად მიმართა მურმანმა.

მეორე დღეს შებინდებისას თეთრი რცხილის შემოთ დატვირთული ურემი ჭრიალით შევიდა სალომეს ეზოში. ხარებს მურმანი მიუძღოდა.

მურმანი ურემზე შეხტა, მორებზე ავიდა, მორებზე აქა-იქ თოვლი იყო მიყინული. თუმცა ხელი ეწვოდა, მაგრამ მაინც არ ჩქარობდა... უნდოდა კატოს მოესწრო, მაშინ სიცივეც გაქრებოდა და დაღლილობაც. ვაჟაკი წმინდაწმინდად ჩერდებოდა, ხელებს ასავსებდა, თითები პირთან მიჭქონდა და სულს უბერავდა.

ურემი რომ დაცალეს, სალომემ მურმანი შინ შეიპატიჟა. ოთახში თბილად, მაგიდაზე არყის ბოთლი და ჩურჩხელებით სავსე თეფში იდგა. საწოლზე კატოს პწევანე შალის კაბა იყო გადაფენილი. მურმანმა თვალს ვერ მოწყვიტა კაბას. ახალგაზრდა ბრიგადირმა ჰკიპა მიმომდ ასწია:

- იცოცხლე სალომე, კარგად იყავი, სულ კარგად! — მიმართა მან დიასახლისის და სულმოუთქმელად გადაჰკრა.
- გამადლობთ, შვილო! — მიუგო სალომემ, თან საიდუმლოს განდობის კილოთი ჰკითხა:
- ნუ მომერიდები, ბიჭო, რამდენს გამომართმევ ამ შეშაში?
- ჰა, რას ამბობ, არც ერთ ვაპიკს! — მურმანი წამოხტა.
- ცოდვა ხარ, შვილო, ცოდვა! — სალომე ძალით უდებდა ჯიბეში ფულს, მაგრამ მურმანი გართვამოვარდა.

როგორ უნდოდა გზაზე მაინც შეხვედროდა კატო! გულდაწყვეტილმა სახრე მოუქნია ხარებს და ურემი ჰიშვარში გაახრიგინა.

ურემი ნელა მიჰყავდა, მაგრამ ვისაც ეძებდა ის არსად შეხვედრია. შინ აფორიაქებული მივიდა და მაშინვე ლოგინში ჩაწვა. ფიქრებში ბევრი ესაუბრა კატოს. დაღლილს ტკბილად რომ ჩაეძინა... მოვიდა მასთან თეთრკანიანი გოგონა, გრძელი ნაწინაგები მკერდზე ჰქონდა გადმოფენილი, მორცხვად იღიმებოდა. შეგქლიავივით თვალები ალურსიანად მიაპყრო ვაჟაკს და შემდეგ ხელიც გაუწოდა. მურმანმა ქალიშვილის ხელს ხელი მოუჭირა და განარებულმა შეჰყვირა:

- კატო!
- მაგრამ უცებ გამოეღვიძა და კატოც გაჰკრა. ოთახში ბნელოდა. როგორ უნდოდა კატოსთან შეხვედრა ცხადი ყოფილიყო, ხელში დაეჭირა მისი ხელი და არასოდეს არ გაეშვა.

დილით იმით იყო კარგ გუნებაზე, რომ იცოდა დღეს კრებაზე კატოც მოვიდოდა. კრების შემდეგ შინ გააცილებდა, კატო სოფლის ბოლოში ცხორობდა წისქვილთან და დიდხანს ივლიდნენ ერთად, გზაში გულს გადაუშლიდა. მურმანის დედაც მოწადინებული იყო კატო რძლად მოეყვანა, კატოსავით გამრჯე და სახელოვანი ქალი მეორე რომელია სოფელში.

— რას უყურებ ბიჭო, გაბედე და გადასწყვიტე, — უთხრა მურმანს გულში დედამ, — ძველი დრო იყოს, მე ვიცი... მაჭანკლებს დავასვები, მაგრამ ახლა რა ღონე მაქვს. შენ კი შნო არ მოგცა დემართმა.

— კარგი, ერთი, დედა, რა დროს მგაზე ლაპარაკია! — მორცხვად მიუგო მურმანმა, მაგრამ ეს სიტყვები მას გულთან კი არ ატყავდა, ტუჩებს მოსწყდა.

— რას ამბობ ბიჭო! ბავშვი ხომ არ გგონია თავი?

„რა ქნას დედა, — გაიფიქრა მურმანმა, — მისი სიხარული ჩემი ბედნიერებაა...“  
... მურმანის მამა ძველი ოჯიკი იყო. სამამულო ომი რომ დაიწყო, კამოდის უჯრიდან თავისი ძველი ორდენი ამოიღო, მკერდზე ჩამოიკიდა და სამხედრო კომისარიატში ამაყად წავიდა... რამდენიმე თვეს წერის წერაზე გზავნიდა, ორჯერ საფრანგო გახეთიც მოაყოლა, სადაც თვითონ იყო დაბატული და შემდეგ... მისი ხმა მიწყდა.

მურმანს მურმანი მემინდვრობის ბრიგადირად დანიშნეს. მამაც ბრიგადირი იყო და ბევრი სიმინდი მოჰყავდა.

— ასეა, შვილო, მამის კვალზე მიდიხარ! — კმაყოფილებით უთხრა დედამ. მურმანმა ასის მაგიერ ასოც ჰქეჭარზე დათესა ხორბალი. ზამთარი გრძელი გამოდგა. დეკემბერში გადათეთრებულ მიდამოს თებერვლის დამდეგამდე არაფერი ეშველა.

იმ დილით მურმანს გულმა ვერ მოუთმინა და პურის ყანისაკენ გასწია. ჯერ ნელა მიდიოდა, მაგრამ როცა გადამწვანებული ყანა გამოჩნდა, ფეხს აუჩქარა, რომ ჩქარა მისულიყო, ბებერ მუხასთან გადაუხვია და თამბაქოს ხმელი ღეროებით მოფენილ დაღმართს ჩაჰყვა. მიწა წყლით იყო გაქვინილი და წებოსავით თიხა ჩექმებზე ეკვროდა. აქა-იქ ბუჩქის ძირას შერჩენილი თოვლი ქათქათებდა. ნესტისაგან გაშავებულ ღეროებს მძაფრი სუნი ასდიოდა. მურმანი ხან ერთ ღეროს გაჰკრავდა ფეხს, ხან მეორეს, რომ ჩექმიდან ტალახი მოეშორებინა და ისე მიეშურებოდა, თითქოს სადმე ავგიანდებოდა.

მურმანმა გახვდა ზამთრის ძილისაგან გამოღვიძებულ ყანას, მაგრამ მუხის იქით, სადაც უფრო უკეთეს პურს ვარაუდობდა, ჯეჯილი დაჩივებული და უფერული დაუხვდა... ახალგაზრდა ბრიგადირს გული ჩაწყდა. შეშფოთებული დიდხანს იდგა, უცქეროდა ნელა მოღალანე ჯეჯილს და ახლა კრებაზე მისვლას, იქ საყვედურების მოსმენას, ერჩია აქ მიწა გასკდომოდა და შიგ ჩავარდნილიყო. „ჰე, რამდენი არ ვეცადე, მაგრამ ხედავთ რა გამოვიდა?!“ — აღმოხდა მას. ის კიდევ დიდხანს იდგებოდა ჩაფიქრებული რომ წყლის საწრეტ თხრილთან ვილაცის კვალი არ შეენიშნა. კვალი ყანას ირგვლივ უვლიდა, ზოგ ნაფეხურში წყალი იდგა.

— ნეტავ ვინ უნდა ყოფილიყო აქ! ასე გულდაგულ რომ დაუვლია ეს ნაკვეთი?! — ჩაიხურჩულა მან და პასუხიც თავისსავე გულში მონახა.

„ბიკენტის მეტი, აბა, ვინ მოვიდოდა!“  
ბიკენტი კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო.

მურმანი ყანიდან გზაზე გამოვიდა. კრების დაწყებამდე არც ისე დიდი დრო იყო დარჩენილი, მაგრამ სულ არ ჩქარობდა. ჩექმები ღელეში ჩარცხა, პალტოს ქობიდან ტალახი ჩამოიწმინდა, დილები შეიკრა, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და თითქოს შეცივდა, წელში მოხრილი გზას გაუდგა.

„ნეტავი რა მოუვიდა ჩემს ყანას? თავში კარგი ჯეჯილია, ბოლოში რა მეხი დაეცა?“ — კითხვობდა გულდაწყვეტილი ბრიგადირი და თან ნელა მიდიოდა, ესმოდა თუ როგორ შრიალებდა ლურჯად გადაბიბინებული მინდორი. როცა შუაგულ ყანაში მარტოდ მდგარ ცაცხვს მიუახლოვდა, კენწეროდან ისე დასჩავლა ყვავმა, რომ ვაჟაკი უცებ შეკრთა და თანაც გაიღიმა, დაღაბვროს ეშმაკმა, როგორ შემეშინდაო.

მურმანი დააკვირდა ყანას და მოეწონა... ამ მინდორზე წინათ მამას ბევრი ლაგოდებური გრქელთავთავა მოჰყავდა, ყველა მისი მადლიერი იყო.

„ახლაც ბევრს მიიღებს ლაღო, ჯეჯილს კარგი პირი უჩანს. მაჯობებსო“, გაიფიქრა ბრიგადირმა. ამ ფიქრმა მურმანი უფრო შორს გაიტაცა და ის დღე მოაგონა, როცა აქ მოღალანე ყანაში გუგუნით დასკურავდა კომბანინი. მაშინ პატარა მურმანი, გაოცებით შეჰყურებდა გაშლილ მინდვრების ცისფერ ხომალდს... თვალწინ წარმოუდგა მალალი, საფეთქლებში შეჭალარავეებული მამა, რომელიც პაპანაქებაში ხორბლის ზვინებთან ჩეროში სუფრას უჯდა და კომბანინის მარჯვენას უჭებდა, პატარა მურმანი კი ტრაქტორის საჭესთან იდგა, შოთის ყუასა და გულის ყველს მადიანად ჰამდა.

— აქ მოდი, შვილო! — დაუძახა მამამ. მურმანი წამსვე სუფრასთან გაჩნდა. — ჰა, კარგი ბიჭი მეზრდება, რას იტყვი?

— კარგი ბიჭია და ერთი კარგი ჰიქაც ერგება! — თქვა კომბანინმა და ხელდა აიღო. ბადაგივით სქელ ღვინოს რომ ასხამდა, ლაღმ სველი სურა მიაწოდა.

- მურმანს მეტი წყალი დაუსხი!
- რატომ?! — ჰკითხეს გაცივრებულლებმა.





ეროვნული  
ბიბლიოთეკა



ჩქაროსანი მდნობელი ამირან ფანცულაია მარტენის ლუმელთან.

ფოტო ვ. ჯეიკანოვისა



ცხენოსნობის ერთ-ერთ ურთულეს სახეობაში — დაბრკოლებათა გაძალახვაში — გამარჯვებული სპორტსმენი ქალი ნ. პარინოვა.



ფოთის საქალაქო იპოდრომზე 10 დღის განმავლობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ უძლიერესი ცხენოსნები.

პირველობამ ცხადყო საქართველოს საუკეთესო ცხენოსანთა მაღალი მომზადება. მათ კარგი შედეგები აჩვენეს ასპარეზობაში, რომლის პროგრამა სირთულით არ ჩამოუვარდებოდა ოლიმპიურ და საკავშირო შეჯიბრებებს. გარდა ამისა, პირველობამ გამოავლინა მრავალი ახალგაზრდა ნიჭიერი სპორტსმენი, რომლებმაც ჩემპიონთა სიაში საგრძნობლად „შეაფიწროვეს“ გამოცდილი ცხენოსნები და ვეტერანები.

საინტერესო და დაძაბული ბრძოლის შემდეგ გუნდური პირველი ადგილი დამსახურებულად მოიპოვა გუდაუთის რაიონის ცხენოსანთა კოლექტივმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ თბილისის „სპარტაკის“ ცხენოსნები, მესამეზე — გასული წლის ჩემპიონი, ცხაკაიას რაიონის გუნდი.

ფოტო 8. ზარზარინანისა

ცხენოსნობის მოყვარულთ კარგად ახსოვთ ცხაკაიელი ნორჩი მხედრის აჩიკო მაისაიას გამარჯვებები მარულაში. ამჟამად მაისაია წარმატებით გამოდის დაბრკოლებათა გაძალახვაში.




ცხენოსანთა შეჯიბრებებზე უოველთვის დიდ ინტერესს იწვევს ქართული ეროვნული თამაში—ისინდი. სურათზე აღბეჭდილია ისინდში შეხვედრის მომენტი ზუგდიდისა და გუდაუთის გუნდებს შორის.

საქართველოს ცხენბურთელებმა სახელი გაითქვეს ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც, ისინი ცხენბურთში საკაცშირო თასის ორგზის მფლობელები არიან. სურათზე: თამაშის ერთ-ერთი მომენტი გუდაუთისა და თბილისის „სპარტაკს“ შორის.





ეროვნული  
ბიზნირობა



გორის საქსოვი კომბინატის კომკავშირელი ლაბორანტი ლ. მჭედლიშვილი ამოწმებს დამზადებულ ნართის ხარისხს.

ფოტო შ. კუკულავასი

## ლ. ალაშიძე

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ახალგაზრდა კაცია და გაცივრებით თავისი ხიდიწიკით. იგი ამ მთაგორიან სოფელში დაიბადა, ამ პატარა, მაგრამ დაუღებ-გარი მდინარის ნაპირებზე, ამ აქოჩრილი ტყეების საცაღვეხო ბილიკებზე დახტოდა და ისეთივე ცელქი და მოუსვენარი იყო, როგორც მისი თანატოლები... სწავლისა და შრომის სიყვარულმა დინჯი განადა ყმაწვილი კაცი და ახლა ახალგაზრდა აგრონომი სათავეში უდგას კოლმეურნეობას, რომელშიაც სა-მასოცდათხუთმეტი კომლია გაერთიანებული.

... მაიაკოვსკის რაიონი, სოფელი საკრაულა. მაიაკოვსკის სახელობის კოლ-მეურნეობა... ადრე თქმულა: საქართველოში მთა და ბარი ვაჟმა გაჰყო. სა-დაც ვაჟი ხარობდა იმ ადგილს ბარი ეწოდა, სადაც არა, იმას მთა.

მთაგორიანი სოფელი საკრაულა ამის ნიმუშს წარმოადგენს.

თუ ათიოდე წლის წინათ კოლმეურნეობას ვაჟი შვიდ ჰექტარზე ჰქონდა გაშენებული და არც მოსავალი იყო საკმარისი, — დღეს საკრაულას ფერდობ-ებზე სამკაულივით შეფენილია ვენახი და იგი ყოველწლიურად უფრო მაღ-ლა და მაღლა მიზაზღვებს, თამამად ართმევს ადგილს ძეძვიანს, და ეს კუზია-ნი ვაჟი ელსადგურს აშენებს მდინარე საკრაულაზე, კოლმეურნეობის ცხვარ-ძროხას ამრავლებს, საავტომობილო გზა გამოჰყავს სოფელში, ახალ-ახალ ოდა-სახლებს აგებს.

შვიდასოცდათხუთმეტი მოსახლეა საკრაულაში და ყოველ მოსახლის ეწოდა ვაჟია გახარებული.

კოლმეურნის შრომას მხარში ამოუდგა მეცნიერება და კოლმეურნი ამ მთიან სოფელში ვაჟთან ერთად შესანიშნავად ახარებს სიმინდს, ბოსტნეულს, ხეხილს, ბარის მკვიდრი მცენარეები ამოჰყავს მთაში, ამრავლებს ჯიშთან სა-ქონელს და კაცურის ცხოვრებით ცხოვრობს.

აი რას ნიშნავს კოლმეურნის ერთი შრომადღე სოფელ საკრაულას მაია-კოვსკის სახელობის კოლმეურნეობაში: ექვსი კილო სიმინდი, ერთი ლიტრი ღვინო, შვიდი მანეთი ფული, ყველი, ლობიო... მაგრამ მარტო ეს როდია კოლ-მეურნის დღიური შემოსავალი. ყოველ ოჯახს ვენახი, ხეხილი და ბოსტანი აქვს, ყოველ ოჯახში მეწველი ძროხაა, ღორი, თხა, ფრინველი, სკა.

კოლმეურნი გრიგოლ კუპრაძის ოჯახს ვეწვით.

თვალს შორიდანვე ხიბლავს სერზე წამოქიმული ორსართულიანი ოდასახ-ლი. შრომისმოყვარე კოლმეურნის ეწოდა ათასი ძირი ცლოკაური აქვს გაშე-ნებული, ამ ვენახს მარანი სჭირდება და გრიგოლ კუპრაძესაც ოდასახლის გვერდით შესანიშნავი მარანი აქვს გამართული. ეწოდა — კაკლის ხეები, ვაშლი, მხალი, ლეღვი და ბროწეული. ბოსტანში — ჯიშიანი მეწველი ძროხაა, იქვე გვერდით ღებადღორს თორმეტი გოჭი ასდევნებია და ღრუტუნით იკლებენ ეწოდა...

სახლში და კოლმეურნეობაშიც ბეჯითად შრომობენ გრიგოლის მეუღლე ელენე და ქალიშვილი სულიკო. ამის გამოა მათი ოჯახი ასე წელგამართული და სარჩო გამოუღვევლი.

სამოცდათხუთმეტი წლისაა გრიგოლ კუპრაძე, მაგრამ მთის ჯანსაღ შავს მისთვის ჰაბუკური ჯან-ღონე შეუნარჩუნებია და ისიც ვაჟკაცური გაქანებით შრომობს კოლმეურნეობაში. იგი მერგოლურია და მის რგოლს მოსავლელად აქვს ცამეტი ჰექტარი ვენახი. შარშან, მიუხედავად ხანგრძლივი გავლისა, თვი-თეულ ჰექტარზე სამოცი ცენტნერი ყურძენი მოიკრიფა გრიგოლ კუპრაძის რგოლის ნაკვეთზე, ხოლო წელს ასი ცენტნერი... კიდევ ორი-სამი წელი და საკრაულაში უფრო გაიძვამს ფესვებს ვაჟი... აგერ მდინარის გაღმა ძეძვიან ფერდობს რომ ხედავთ, ამ ფერდობზე ვაჟს გაახარებს კოლმეურნეობა, კარ-გად იციან საკრაულელმა მევენახეებმა, რომ სადაც ბროწეული და ლეღვი მწიფობს იქ ვენახიც ხარობს.

... ასეთმა ბეჯითმა შრომამ ააღორძინა და ცხოვრების ფართო გზაზე გამოიყვანა საკრაულა: სოფელში სრული საშუალო სკოლა და ამ სკოლაში საკრაულელები ასწავლიან — ზურაბ კიკნაველიძე, ელენე კიკნაველიძე, ნადეჟ-და კიკნაველიძე... მდინარე საკრაულაზე ელსადგურია აგებული, სოფელში არის ჩინებულიად მოწყობილი საექიმო პუნქტი, რომელსაც დახელოვნებული ექიმი თინათინ ბერიძენიშვილი ხელმძღვანელობს; კოლმეურნეთა კლუბში სის-ტემატურად იმართება ლექცია-საუბრები და სალაქო-წარმოდგენები, სოფლის ბიბლიოთეკას ორიათას ცალამდე წიგნი აქვს.

სოფლის შუაგულში კოლმეურნეობის კანტორაა — მტკიცედ ნაგები ორ-სართულიანი ქვის შენობა.

... თავმჯდომარის კაბინეტში სამუშაო მაგიდაზე ლამაზად აკინძული წიგ-ნი დევს — კოლმეურნეობის თავმჯდომარის ანდრო კიკნაველიძის სადიპლომო შრომა...

— ამისი დიპლომი — ჩვენი კოლმეურნეობაა, ღიმილით წარმოთქვა კოლმე-ურნეობის აგროტექნიკოსმა უუუუნა გუნცაძემ და ახალგაზრდა და მუდამ დინჯ თავმჯდომარესაც გაეცინა.

... — ასეა, გვეუბნება ანდრო კიკნაველიძე, ვაჟს დიდი პერსპექტივა აქვს მაიაკოვსკის რაიონში. ამჟამად რაიონის საკოლმეურნეო ვენახის ფართობი რვაასამოცი ჰექტარია. მარტო მომავალ წელს ამ ფართობს ასი ჰექტარი მიე-მატება. ცხადია, ვენახის სამუშაოთა მექანიზაცია, რასაც ამჟამად დიდი ყუ-რადღება ექცევა, უფრო მეტად შეუწყობს ხელს ჩვენს რაიონში მევენახეობის განვითარებას — ჩვენ უკვე ფართოდ ვიყენებთ ახალი ტიპის ტრაქტორებს რო-გორც სავენახე ადგილების დასამუშავებლად, ისე გაშენებულ ვენახში მწკრივ-თა შორის სამუშაოების ჩასატარებლად.

ვაჟის შეწავლის საქმე დიდად წასწია წინ ახალმა წამლისასხურებელმა მანქანამ... დაახ, მექანიზაცია გაბედულად ინერგება მევენახეობაში, ხოლო ვა-ჟი დიდ სიმძლავრეს ქმნის, ბევრი რაჰ, რაც ამ მთიან სოფელში ახალი და მნიშვნელოვანი ნახეთ — ვაჟის ნაყოფია.

— იმიტომ, რომ ჩემზე პატარაა, დასწავეს!

მურმანს თვალები აუტრემლდა, კომბანინერს ჰიკას არ ართმევდა, მაგ-რამ მამას ხათრი ვერ გაუტეხა და წყალნარევი ღვინით საცხე სასმისი უგემუ-რად გამოსცალა. ლადოს კი ეს არ ეპატარა. ნიავითი გაინავარდა მომკილ ყანაში და იმდენი თავთავი შეაგროვა, რომ მისი სურათი საველე გახეუში მათათაჟეს. ლადო კი კაცს არ უსენებია. ენამწარე ბიჭს საქმით აუკობა.

„ახლა კი ის მაჯობებს!“ მწარედ გაიგო გულში და ისეთი თვალებით გა-ხედა ლადოს ბრიგადის ყანას, კაცი იფიქრებდა, შურსო, მაგრამ ეს შურიანი კაცის გამოხედვა არ იყო, ეს სხვა გრძობა იყო, ნამდვილი ადამიანის წმინდა გრძობა.

— არა, ძმაო ლადო, ახლაც წყლიან ღვინოს ვერ დამალევიანებ! — ჩაილაპა-რაკა მან და თვალწინ წარმოუდგა ლადო, რომელმაც კრებაზე, ამაყად განაც-ხადა, მურმანს ვიწვევ შეჯიბრებაში.

— სიამოვნებით! — შესაბა მურმანმა. — მაშინ კატოსი და მურმანის თვა-ლები ერთიმეორეს შეხვდნენ, შეხვდნენ და შეჩერდნენ, კატომ გაიღიმა და ეს ალალი ღიმილი, წარბების ოდნავ შერხევა, ის უთქმელი სიტყვა იყო, რომელიც გულში ჩაწვდა ოცდაორი წლის ვაჟკაცს. ჩაწვდა და შიგ ჩაიმარხა.

— ნეტავი როგორია იმ გოგოს პური?! — ახლა ეს ფიქრიც ეწვია ბრიგა-დირს და პირდაპირ დადგა მირმელანთ ხევისკენ მიმავალ გზას.

„ჰმ, ნეტავი, კატოს ყანა მაინც იქნებოდეს კარგი, დე, ყველას აჯობოს, გაი-ხაროს!“

მურმანს ამ ქვეყანაზე, რაც კარგი და ლამაზი იყო, ყველაფერი, ყველაფერი, უკლებლივ, კატოსთვის უნდოდა.

ყვავი ისევ ჩხაოდა და მისი საზარელი ხმა გაზაფხულის სითბოთი გამო-ღვიძებულ მიდამოს უსიამოდ ედებოდა.

მირმელანთ ხევის პირას „ვილისი“ იდგა. მურმანმა იცნო რაიკომის მდივ-ნის მანქანა და ტანში გასცრა, გადასწყვიტა უკან დაბრუნება, მაგრამ... ცეცხ-ლი გაქვსო, ჰკითხა მოფერმა და შეჩერდა. მოფერმა პაპიროსი გააბოლა და მურმანის გაფრთხილა:

— წადი ბიჭო, ამ ცხელ გულზე ნუ დაენახვები, შენზე გაჯავრებულია მდი-ვანი. კიდევ კარგი კატომ დაამშვიდა. რა გოგოა! — თვალი ჩაუკრა მოფერმა, — მე დავეხმარებო, მთელ ჩემს ბრიგადას დავასვეო.

მურმანს შერცხვა. ჰა, ვინ ყოფილა თურმე ჩემს ყანაშიო და შოფერს ამა-ყად უთხრა:

— მე არავის დახმარება არ მინდა, ჩემს გაფუჭებულ საქმეს თვითონ გამო-ვასწორობ! გესმის?!

— რა გულთ მოგდის შე კაი კაცო! ისეც გიქნია, პურის მაგიერ ბრინჯი მიგიღია. დალოცვილო. გოგო გენმარება და არ გინდა? აი, აგერ მოდის და უთხარი არ მინდხარ-თქო!

შოფერის კაბინეტი ჩაჯდა. მურმანი ერთხანს იდგა გახევებული. წყლის საწ-რეტ არბთან ნელა მოიხრებოდა კატო.

„რა უნდა ვუთხრა! მადლობა?“ — ფიქრობდა ბრიგადირი, მაგრამ გულში პასუხს ვერ პოულობდა.

— ჰა, ეს შენა ხარ?! — შორიდან დაუძახა კატომ და ჰრელი კაბის შრიალით მიუახლოვდა. — გამარჯობა მურმან! — მიესალმა ქალიშვილი და შემდეგ შოფერს მიუბრუნდა:

— მდივანმა შემოგიტვალა ხევის ბოლოს მოდიო.

„ვილისი“ რომ გასრიალდა, კატომ მურმანს გაკვირვებით შეხედა და ტუ-ჩებიც აიბრცია.

— გამარჯობა-მეთქი, არ გაგვიგონია?!

— გამარჯვებული შენა ხარ!

— კარგი ერთი!.. რა გიჭირს ბიჭო? აგერ არა ვარ მე, ჩემიანებიც. მივალთ და თვითონ თქვი, რა საქმე გავციდებ!

— მე არავისი დახმარება და მოწყობა არ მინდა!

— მურმან რა გეწყინა ჩემგან, რატომ არ გინდა დაგენმარო?! — მერცხა-ლივით შეეღურტულა კატომ. — თქვი მურმან, თქვი რამე!

— მკის დროს... მკის დროს გეტყვი ყველაფერს! — თრთოლვით მიუგო მურ-მანმა და ქალიშვილის ჯღს ხელი მოუჭირა. ეს სიზმარი კი არა, ცხადი იყო და ხელი ვერ გაუშვა, ვერა!

მეორე დღით ახალგაზრდა ბრიგადირი ისე იყო გახარებული და მკლავებში იმდენ ძალ-ღონეს გრძნობდა, რომ საქმეს კი არა, ცხრათავიან დევს შეგბ-მებოდა. ანიტომ ხმაურებდა სერი. მურმანი ქარიგით დაქროდა. მისი ბრიგადის წევრები ორმოცეუბი წუნწუნს ანზადებდნენ, რომ შემდეგ ყანაში მიემვათ და გადაყვითლებულ ჯგვილისათვის სიცოცხლე დაებრუნებინათ.



# გერმანიაში



გერმანიაში მდებარეობს და სხვა მსგავსი გერმანიაში არ არის, ან ატორის არ დაუტყვიანია. იქ ამათა ძაღვების ტყუილ-ურბოლო ცოდვობა. წვე და გრება. შინაგანი ძალა დრამისა უნდა გამოტყუდდეს ვარით და არა ატორი მე ჩასისაღეს ვარდენი — ილია პეტევიასი ამ დრამისა ხელმძღვანელი მოზარდა თატორი, როგორც პიეტის, ასევე სპექტაკლის ატორებზე. მაგრამ თუ რეისორმა, ან მსახიობმა პიეტის რომელიც მიზანსცენაში გადაჭარბა, ან პირებით — იქონა გერმანის ხასიათის გამოტყუაში, ნორში მატყუებელი უფრადდებოთ არ სტოლებს ამ გატყუებას.

ნორმების იბილისის მე-10 სკოლაში სკოლის ლტინატორულმა წრემ მოაწყო დისკუსია „კვიციანი“ ვარდენში. ამჯერად



ჩუნი — ასე დაიწყო ჩუნი ცხოვრება (აღნიშნული სპექტაკლიდან ასე უნდა ცხოვრობა). ჩუნი — ანაბეზი, ჩუნი, მსახიობი. ნ. ლორთქიფანიძე

მაყურებელთა როლიში მოზარდა თატორის მსახიობი და რეისორები იყვნენ. ისინი გულსიყვირით უსმენდნენ პატარა იყვინებულებს სკანინამ გამოცდებს. არ გავყავით-ფილდებს სახელთოვანი გიბრის დაღუპვის დროს მისი მეგობრების უსტყვი გამოთხოვება. არავითარ დისკუსიონს არ შეუძლია შეაჩეროს დამიანი, როგორც წყუბა მისი მეგობრის სიღრმისეული უფსკრულია — ამბობს მოსწავლე დამიანი ზაქიამ, რომ შეიძლება უფრადდებოთ დასტოვით მშენიშნა. არ უნდა დაეყოფით, რომ კვიციანის რახმებებს არ გააჩნდათ სკანინამ სარბოლო იზარღო. ვარისაყვირთ თავიანთ ტანსაცმელში იყვნენ, ზოგი მატორის ფორმით, ზოგი — დრამისათვის უფსკრულია. კი, ასე რომ სასურველი იყო დაამტკიცეს ისტორიული სინამდვილე გამოყვინებინა და არა რეჟისორული ვარის ფორმით გამოყვინებინა მსახიობები? — ამბობს მოსწავლე მანანა კახიანი და არ შეიძლება არ დაუჯეროთ ამ შინაშენს, არა ერთი მაგალითია ამბობს რომ მოსწავლეთა შინაშენში შემდეგ მსახიობს შეუწირებოთ ეს თუ ის



პოლიტის ქალი მე-10 სკოლაში სკოლის მოყვინებებს შეხვება მოზარე მაყურებელთა თატორის რეისორებთან და მსახიობებთან

11 ნოემბერია დღეს მოზარე მაყურებელთა მატორის დასესხებიდან 25 წელი უნდა უღებოდეს. 1928 წლის 11 ნოემბერს თბილისის ოპერისა და ბალეტის თატორი ნანა-ვენი იქნა მოზარე მაყურებელთა თატორის პირველი სპექტაკლი. ეს იყო მოზარდა თატორის პირველი დღეც, პირველი ნაშრომი. მისივე მოზარე როლებს ასრულებდნენ ე. კვიციანელი და თ. თვალაშვილი. ამაჟამად რესპუბლიკის თანამდებობით არსებობდა, რომელიც მოსწავლე არ იყვნის ამ ორ სკანინაში. პატარა გოგონა, თუ ბიჭობა, რომელიც პირველად მიღეს თატორში და რომელიც ჯერ თვალთიყვი არ უნდა იქნას მსახიობები, უსრულებდნენ ყოფილსა კიბოლებს. დღეს კი, გ. კვიციანელი — თვალაშვილი მოზარე თატორის და თუ უსაყვირთ მასებს მიიღებს, გულწრფელად სწყინა.

დღეს თატორი უკვე მს. ფილიპოვის პიესას; ასე იწყება ცხოვრება. პიესა და გეგმა თ. თვალაშვილის მიერ, თატორში ისევე სკოლა მთლიან მსახიობმა, რომ მან რეჟისორული მუშაობა შესწავლა. მსახიობი —

მსახიობები: ა. თვალაშვილი, ვ. დარისანაშვილი, ვ. ცუჩუაშვილი და მ. გუბუაშვილი 25 წლის განმავლობაში, თატორის დასახლებიდან დამატებით მოზარე მაყურებელთა



თავან რეისორად მუშაობს ავტორი რეს-ბუქიელის დამსახურებული პირის ბი. დარისანაშვილი. თატორის ზოგიერთი მსახიობი დამატარებლის დარეშად მუშაობს. 25 წლის განმავლობაში მოზარე მაყურებელთა თატორში მრავალი რეისორი გაიზარდა, ზოგი მათგანი ამჟამად რესპუბლიკის სკანინაში თატორებში მუშაობს, სახალხო ოპერებში ალ. თვალაშვილი გრიბაძის სახელობის თატორის მხატვრული ხელმძღვანელია, რეისორი ა. თვალაშვილი — მარჯანიშვილის სახელობის თატორში, დ. კვიციანელი — მესი ავალური კომპიუნი თატორში.

ანტრეპია, დერეფანი ვესსაგებობა თამარ თვალაშვილს. — რომელი მსახიობი მუშაობს თქვენთან თატორის დასახლებიდან დღემდე? — მე და კუჩუაშვილი და გეგმა, ერეგელი და კარბანანაშვილი, ასე რომ სულ ოთხნი ვართ.

— არეში შედარებით ახალგაზრდა მსახიობი, მაგრამ უკვე დიდი სიყვარული დამსახურდა, დარეშები უნდა ტანი ხეზუბიან სკანინაზე დასახლებომა.

კვიციან გინდა სხვა მსახიობებზე ვთქვათ. მატორმა ამ დროს თვალაშვილი მისი იყურებდა და წყუბა თანა იხრება. მის ვერტილი პატარა ბიჭობა დგას, ეტყობა თვალაშვილის ატული ნაწილია? —

— დიდა თამარ, ხომ მოურჩება ხელი რეისორს ა, დიდა თამარ? — რეისორი მთავარი გერია პიესისა — ასე იწყება ცხოვრება, მას უნდა იქნა დაზავებული დაქვანდებინა დაზავებული ახალი დეტალი, მაგრამ ავარი მოუვდა და ხელი დამიშავა? —

— მოურჩება, შენ თვითონ ნახავ რომ, მოურჩება — უკანსურბ თვალაშვილი და ჭოროზე ხელს უკანს.

ნ. ფილიპოვის პიესა მკვლად აქტუალური თემაა. მისი ნაწილები პატარას-სახელობის სასწავლებლის მომუშაველ ცხოვრებას, თუკა მხატვრული ღირებულების თვალსაზრისით ის ვერ დგას სთანაშვილი თვალსაზრისით, „სპექტაკლის მხატვრის პირობით რამდენჯერმე ვაყვავით თბილისის დაზავებულნიშნული ტარანში. მსახიობები ავირადუბოდნენ მეუბნის სკანინაში,

„სკანინაშიდენ“ დაჯივებთან მუშაობას — განაცხადა თ. თვალაშვილმა.

ბავშვები ცხოვრებულნი ხდებიან პიეტის ფინალს; როგორც იქნა გამოსწორდა რეისორი, მან შეიქონა, რომ ცუდა სიყვარული თამარ მრავალი დარეშად იყვნის, რომ გვიტყვი ამაჟამად ვერაყვინს ვერ მიაღწიო. ასე იწყება პიეტის ვარობა — რეისორი და ზოგი სკანინა მსახიობის ცხოვრება... ასე ვარდებოდა მოზარე მაყურებელთა თატორის შემოქმედებით ცხოვრება.

ფოტო მ. თვალაშვილი

სკანინა სპექტაკლიდან „ლურჯა“



7 ნოემბრის საღამო, მოზარე მაყურებელთა თატორი უკვე მუშაუბა და რეისორის პიესას — „კვიციანი“ (დამსახურებული მოზარე რეისორი, ხელ. დამან. მიღაწე: ვ. ცუჩუაშვილი). ეს ბავშვების ერთ-ერთი უსაყვირესი სპექტაკლია. ამიტომ შეხედნენ ტანით და თავმჯდომარეები შემახიობლენი მხატვრული ჩანაწერს — ვისილი კვიციანის სკანინაზე გამოიხატა. თვალაშვილი და სხვა მოსწავლეთაგან მკვლად განსჯილი რეისორი ასევე ხორი მაყურებელს. „არ თქვა“ — ნამადად თვითონ ისინი პიეტის გიბრის, თუ მას ვალდებოდა აწამებენ რაიმი სიღრმის ხელში ჩასაგდება, „მოლაბატა“ — ავტორებზე ისინი პიეტის მომწოდებ პიეტის, თუ მას ვერ არა ზაქის გამოთხოვითი შენიშნული მატორი. „შენ უნდა მოვალეო კვიციანი“ — ეუბნება მთლიანი სანტიარ ზაქის და დარბახ ატორებს პატარა მაყურებელთა აღმოებულთა შემახიობლენი. გადაცემული კვიციანი მოზარეებულად შეღის მტრის ბანაკში და ტყვედ მოჰყვანს ვერბოლო სიტინიო. ისე განიხილავს ამ სკანინა ბავშვები, რომ ტანში სიმბოლოა პატარა ხელმძღვანელი უფრო დგება, სკანინა დაქვინის საძოვლო იმის გიბრის ვასილი კვიციანი. იგი იმარჯობს, იგი უნდა იმარჯობს. პატარა მაყურებელთა სკანინაშია ვერც წარბილებული ამბობს იყო, რომ რამდენიმე შეხედნენ კვიციანის სასჯიდლოდ დარბახ ამას.

— ვერბოლო ამხანა სკანინის, რომ ჩვენ შევასრულეთ მისი გადაცემა... — ამბობს მომავალადი კვიციანი.



კვიციანი — დივივი გიბრის დარეშად და შორის შენ რას იტყვი ვინ-ფი... (სკანინა სპექტაკლიდან „კვიციანი“). მარცხნივ ვ. ცუჩუაშვილი კვიციანის როლიში. დ. ცუჩუაშვილი რეისორის როლიში.



შალვა ჩხეიძე  
1898—1953



ეროვნული  
ბიბლიოთეკა




**ჩემო ძვირფასო ძმაო და მეგობარო, ჩემო უშანგი!**  
 შენი დაკარგვით თითქოს დიდი ნაწილი მოწყდა ჩემს გულს. ასე მგონია დღეს ხელმეორედ დავკარგე მარჯანიშვილი. მარჯანიშვილი და შენ—ორი დიდი შემოქმედი ქართული თეატრის, ორი ბრწყინვალე ოსტატი ქართული სცენის. თურმე რა ძლიერი ყოფილა ჩვენ შორის კავშირი! შენთან არის დაკავშირებული ჩემი ახალგაზრდული ოცნებები, დაუცხრომელი მღელვარება, უძილო ღამეები, მუდამ კამათი თეატრზე, რამდენი ცრემლი ან რამდენი სიხარული! 10 წელიწადი შენთან ერთად, ეს იყო ქართული თეატრის დიდი სიცოცხლე, და შენ იყავი პირველი ვარსკვლავი. სულ შენით ვამაუობდი, სულ მინდოდა შენსავით კარგი, კეთილშობილი, წმინდა და თავმდაბალი ვყოფილიყავი. სულ მინდოდა მოგწოდდი, მაგრამ შენ ისეთი ნაბიჯებით მიდიოდი სულ მაღლა და მაღლა შემოქმედებითი მწვერვალებისაკენ, რომ ვერაფრით ვერ დაგეწიე. თითქოს გრძნობდი რომ ცოტა ხანში ბევრი უნდა მოგესწრო. შენ იყავი ჩემი პირველი სატრაფო სცენაზე,—ჩემი შამლეტი, ჩემი ურიელი!  
 ის ჩემი პირველი გრძნობა შენდამი, ალტაცება შენით, განცვიფრება შენ—  
 \* ოქსპუბლიკის სახალხო არტისტის უშანგი ჩხეიძის დაკარგვაზე წარმოთქმული სიტყვიდან.

ით—დღემდე უცვლელი დარჩა. შენ შეიგრძნე თეატრი, როგორც უდიდესი მოვალეობა, როგორც მაღალი მოწოდება, და აკი დასწვი თეატრში შენი გული და სული. განა სხვა კიდევ რამე არსებობდა შენთვის?—არასოდეს, არაფერი. სულ ახლახან მეუბნებოდი—ისე მინდა კიდევ ცოტა რამ ჩემი ქვეყნისათვის კარგი გავაკეთო, მე მაინც მქონდა იმედი, რომ შენ დაუბრუნდებოდი შენს თეატრს, გაიხარებდი თეატრის სიხარულით, მისი გნუხრელი ზრდითა და ახალი გამარჯვებებით. გული მტკივა, როცა გიყურებ სამუდამოდ დადუმებულს, მაგრამ ვიცი—როდესაც თეატრის მოღვაწენი შეგროვდებიან, რათა აკეთონ დიდი ხელოვნების საქმე, იქ შენი სახელი მოიხსენება, როგორც ქართული საბჭოთა თეატრის უდიდესი შემოქმედის, და შენი სახელის გახსენება გულს სითბოს შემატებს და შთაგონებას ფრთებს შეახამს. ძვირფასო და საყვარელი იყავი, ხარ, და იქნები ყველასთვის, რადგან შენ იცოდი თავდადება საქმისათვის და სიყვარული ჩვენი ძვირფასი საბჭოთა სამშობლოსი!  
 გემშვიდობები, ჩემო ძმაო, ჩემო მეგობარო, ჩემო უშანგი და მაღლობას გიხეი იმ სითბოსათვის, სიყვარულისათვის, რომელიც სამუდამოდ დაუტოვე ქართულ სცენასა და შენს მეგობრებს.

3. ანჯაფარიძე

ფოტოზე: მარცხნივ ზემოთ — უ. ჩხეიძის პორტრეტი. მარჯვნივ ზემოთ — უ. ჩხეიძე — ყვარყვარე — პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“.  
 მარცხნივ ქვემოთ — უ. ჩხეიძე — პამლეტი — უ. შექსპირის „პამლეტი“.



უ. ჩხეიძე — კვეყენაძე — დადიანის „კაკალ გულში“

საქართველოს თეატრალური ხელოვნების გვირგვინს მოსწყდა ის ძვირფასი მარგალიტი, რომელიც ბრწყინვალეობას აძლევდა მას.

შადრევნის მსგავსად იფეთქა უშანგი ჩხეიძის სიცოცხლემ, მაგრამ, ვაი, რომ ხანმოკლე აღმოჩნდა!.. ის უკვე აღარ სჩქევს.

მისი სიტყვა, ყოველთვის თავისუფლად მიიკვლევდა გზას ადამიანთა გულებისკენ და კეთილშობილ მიზნებისათვის აღანთებდა მათ. სამუდამოდ ჩაქრნენ მისი მრავალისმეტყველი, დიდრონი. მომხიბვლელი თვალები!

ხანმოკლე იყო უშანგი ჩხეიძის ცხოვრება ქართულ სცენაზე, მაგრამ მან მოასწრო სამარადისო სიყვარულის მოპოვება ქართველი ხალხის გულში. ხანმოკლე იყო დრო მისი შემოქმედებითი მუშაობისა, მაგრამ იმდენად ღრმა, იმდენად ორიგინალური, ისე აღსავსე ნიჭიერებითა და რაინდული კეთილშობილებით, რომ მის სიბოძს ყოველთვის იგრძნობს ქართული თეატრი, ქართველი მსახურები.


ხალხმა უშანგი არა მარტო შეიყვარა, არამედ თავის ოცნების მწვერვალზეც აიყვანა და სიყვარულითა და დიდებით შემოსა ღვი და იმ მსახიობთა მცირერიცხოვან წრეს მიაკუთვნა, რომელთაც არასდროს არ უღაივიწყებს.

ყველამ, ვინც მოწმე ყოფილა ზემისა, რომელსაც ხალხი უ. ჩხეიძეს მისი ბრწყინვალე თამაშის დროს უმართავდა, იცის, თუ რამდენად ძლიერი იყო ძალა მისი ნიჭის ზემოქმედებისა.

ის ხმა, ის ლელვა, ის გუგუნო, რომელიც იმ დროს მხოლოდ ერთ სიტყვას — „უშანგის“ გამოხატავდა, ახლაც მესმის, მას მუდამ გავიგონებთ!

ახალი ქართული თეატრის, საბჭოთა თეატრის დიდი შემოქმედი — უშანგი ჩხეიძე მუდამ გვერდში გვეგულდება, ვინაიდან მისი შემოქმედება კვლავ განაგრძობს სიცოცხლეს.

**შალვა ლამბაძე**



ფოტოზე: უ. ჩხეიძე — ურიელი — კ. გუცკოვი „ურიელ აკოსტა“ მარჯვნივ შემოთ — უ. ჩხეიძე — იაგო — უ. შექსპირი „ოტელო“. მარჯვნივ ქვემოთ — უ. ჩხეიძე (ქ. მაღალაშვილის პორტრეტის რეპროდუქცია).




ეროვნული  
გიგლირთქ

**უშანგი ჩხეიძეს  
ანდრო თაყაიძე**

ჩვენი თეატრის იყავ ლამაზარი მის განახლებას ედუქი კედლად. სცენაზე გაჩნდი, როგორც ზღაპარი, სცენიდან წახვედი, როგორც ლეგენდა. როცა ვიგონებთ შენს სიტყვას ფრთიანს, კვლავ რჩები გულთაა გაურიყავი, ოცი წელია გაშორდი თეატრს და სულით მაინც მასთან იყავი. მე ვხედავ ახლა შენი გმირები როგორ ვრტყმიან შენს კუბოს ირგვლივ, როგორ არიან ანატირები როგორ გადგამენ უკვდავთა გვირგვინს.

როგორ აფრქვევენ ცრემლთა მდუღართა, როგორ არიან დაღონებულნი, მათ მხოლოდ შენთან ყოფნა უყვარდათ, შენგან ხდებოდნენ შთაგონებულნი. შენს განშორებას ვინ არ იტირებს, ვისთვის არა ხარ დასანანები; შენ აცოცხლებდი გარდაცვლილ გმირებს და მიკვირს, სიკვდილს როგორ დანებდი. მაგრამ სამშობლოს მზის შუქი ფარავს შენი ცხოვრების დიდ სილამაზეს; — ქართულ თეატრთან იცოცხლებ მარად მისი წინსვლის და დიდების გზაზე.



ეს იყო ამ 45 წლის წინათ. სოფელ ნიჩბისში ხატობას — „უმზეკრობას“ დღესასწაულობდნენ. უამრავ ხალხს მოყვარა თავი.

ერთი ჯმუხა აგებულების ყმაწვილი კაცი შორიდან მისჩერებოდა მორთულ-მოკაზმული ხალხის ზემის. რამდენიმეჯერ გადასწყვიტა თვითონაც გარეუ-ლიყო მათში, მაგრამ დაიხედვდა თუ არა ჩამოფლეთილ ტანსაცმელზე, ისევ განაპირა გორაკზე ავიდოდა და იქი-დან განაგრძობდა სვირის ყურებას.

ხატობის ცერემონიას ღმერთი მოჰყვა, ღმერთი — ცეკვა-თამაში და სპორ-ტული გართობა. ერთ ადგილზე წრე შეჭკრეს, მეზურნეს ანიშნეს დაუკარიო და ჭიდაობაც გაიმართა. მოედანზე ახოვანი ვაჟკაცი გამოვიდა, ცნობილი მოჭიდავე — კავთისხველი იაკობა.

ვერც ერთი ნიჩბისელი ვერ გადატო-რა ამ დღეს იაკობას. 14 მოჭიდავე წა-აქცია და კიდევ მზად იყო შესაბრძო-ლებლად. დაღონდნენ ნიჩბისელები, „რა გაგვიხდა ეს იაკობა, თავი მოგვ-ჭრა სწორედო“. მაგრამ უეცრად ერთ ნიჩბისელ მეცხვარეს, თავისი მოჯამა-გირე გაასხენდა, სწორედ ის ჯმუხა ყმაწვილი, შორიდან რომ მისჩერებო-და მოზენიე ხალხს, თურმე ხანდახან ჭიდაობის ეშხზე მოსული მეცხვარე ხელს წაავლებდა ხოლმე თავის მოჯა-მაგირეს, მაგრამ მის ფოლადის მკლა-ვეებს რომ იგრძნობდა, თავს ანებებდა. სწორედ ამ გასაკირში მოაგონდა მეც-ხვარეს ეს „ფოლადის მკლავები“. მაგ-რამ როგორ გამოეჩინათ ამდენ ხალხში ნაფლეთებში გახვეული მოჯამაგირე? ბოლოს, როგორც იქნა, ერთი მაზარა იშოვეს, მოჯამაგირეს ჩააცვეს და წრე-ში შეაგდეს.

— ეს არაა თქვენი ფალავანი? — დაცინვით იკითხა იაკობამ.

დიდნანს უტრიალა გოლიათ ყმა-წვილს იაკობამ, მაგრამ ადგილიდან ვერ დასძრა, ჭიდაობის უცოდინარი ახალგაზრდა კი უსუსურივით ასასვავ-ებდა ხელებს. ბოლოს, მოულოდნელად, მხარში ხელი წაავლო მოწინააღმდეგეს, წელში გადატეხა, ზევით ასწია, ფრთხი-ლად დასდო შუა მოედანზე და წრი-დან გავიდა. განცვიფრებული იაკობა უკან გამოუდგა, მოაბრუნა, გადაკოც-ნა და ჰკითხა:

— ვინ ხარ ბიჭო, რა გვარი ხარ?!

— კანდელაკი ვარ... სანდრო.

ნიჩბისელებს გულზე მოეშვათ. სი-რცხვილი გადარეცხილი იყო. სოფელ-



— აბა ვაჟკაცებო, არ იძიებოდათ. წებიერად იჭიდავეთ — ეუბნება „ჩოპა სანდრო“ პატარა მოჭიდავეებს.

# ნიჩბისელი გოლიათი

## პ. მონიავა

ლები სიყვარულით შეჭყურებდნენ თავიანთ საამყო ფალავანს.

— ამის მომრევი არავინ არის!

— მჯობნის მჯობნი არ დაილე-ვა — მოისმობა აქა-იქ.

ახალგაზრდა გოლიათის სახელი ელვის სისწრაფით მოედო სოფლებს. ერთი მეზორნე, ცნობილი მოჭიდავის — კულა გლდანელის ნაცნობი აღმოჩნდა, მასთან წერილი გაატანა, ცოტაოდენი ფულიც მისცეს და სანდრო პირველად ეწვია თბილისს.

მაშინ თბილისში რამდენიმე საჭი-დაო წრე იყო გამართული. ყველაზე მეტი პოპულარობა დიდუბის წრეს ჰქონდა მოპოვებული. აქ გამოდიოდ-ნენ ისეთი განთქმული მოჭიდავენი, როგორც იყვნენ: კულა გლდანელი, მიხა ჭურხული, ისაკა მთიელი, საშო ვერელი, გიორგი ოდიშელი და სხვ.

იმ ხანებში ერთი ახალი მოჭიდა-ვეც გამოჩნდა, სახელად „შავი ნილაბი“ ერქვა. ქართულ ჭიდაობაში „ნილაბი“ პირველად მონაწილეობდა და ხალხიც დაინტერესდა. პირობა ასეთი ჰქონდა; თუ წააქცევდნენ, ნილაბს აიხდოდა და

სახელსა და გვარს გამოაცხადებდა. ჯერჯერობით „ნილაბი“ არავის არ ჰყავდა წაქცეული.

როცა სანდრო წრეში მიიღეს „შავი ნილაბი“ თავისუფალი იყო და სან-დროსაც მასთან დაუნიშნეს ჭიდაობა. სანდროს სულ რამდენიმე წამი დას-ჭირდა მოჭიდავის წასაქცევად. როცა წაქცეულს ნილაბი ახადეს, ის სათა-ვადანაზურა გიმნაზიის მოსწავლე — ესტატე ინასარიძე აღმოჩნდა: „რო-გორც გიმნაზიელს ჭიდაობის ნება არა მქონდა და ნილაბით ამიტომ გამოე-ვიღო“ — განაცხადა მან.

ამის შემდეგ სანდრო კანდელაკმა ზედხედ დაამარცხა ყველა განთქმული ფალავანი და თბილისელთა სიყვარული დაიმსახურა.

პირველი იმპერიალისტური ომის დროს სანდრო ჯარში გაწვეულს. საქ-ქართველოში დაბრუნების შემდეგ ეს მცხეთაში დასაწყდა და ხელი მიჰყო მეურნეობას, თანაც რკინიგზაზე მუ-შაობდა. ზამთარში თბილისში ჩამო-დიოდა და ფრანგულ ჭიდაობის პრო-ფესიულ ჩემპიონატებში მონაწილეობ-და. სანდრო ფრანგული ჭიდაობის რამ-დენიმე ილტოს იყო მხოლოდ დაუფ-რლებული. ცნობილი მოჭიდავე, სანდ-როს მეგობარი პ. ზაგორიუკო ბევრს ეცადა გაემდიდებინა სანდროს ტექ-ნიკური არსენალი. ძალზე დიდი ტანი და სიმძიმე სანდროს ხელს უშლიდა ყველა ილეთები გამოეყენებინა. მიუ-ხედავად ამისა, ფერმენალური ღონე მას საშუალებას აძლევდა ყოველთვის გამარჯვებული გამოსულიყო.

1920 წელს სანდრო ბათუმის ჩემ-პიონატში მონაწილეობდა. აქ ჭიდა-ობდნენ გამოჩენილი ოსტატები: მურო-მეცი (ივანე), ბრანდენოსოვი, ალგინიკო-ვი. სანდრომ ამ ჩემპიონატში დამსახუ-რებული პირველობა მოიპოვა.

ამის შემდეგ სანდრომ ბევრი გა-მოჩენილი მოჭიდავე წააქცია; მათ შო-რის — ივანე ზაიკინი და თედორე კოჟე-მიაკინი. გამართლდა ნიჩბისელების ერთი ნათქვამი, მართლაც არავინ არ გამოჩნდა ამ ქართველი გოლიათის მომრევი... მჯობნის მჯობნი კი დაი-ლია...

1938 წელს 46 წლის სანდრომ მო-წინააღმდეგეობა მიიღო ფიზიკური კულტუ-რის საქმეთა კომიტეტის მიერ მოწ-ყობილ ნაციონალური გოლიათების შეხვედრაში. მიუხედავად ხანდაზმუ-ლობისა სანდრომ შეჯიბრებაში საუ-კეთესო ადგილი დაიკავა. მან მხოლოდ ერთი ქულობრივი დამარცხება განი-ცადა. მის მოწინააღმდეგეს სენატო-როვს გამარჯვება მიესაჯა წონითი ნაკლებობის გამო.

სანდრო კანდელაკის საზოგადოებ-რივი მოღვაწეობა აღსანიშნავია მისი კინოში მუშაობითაც. მან მონაწილეო-ბა მიიღო მთელ რიგ ფილმებში, რო-გორცაა „ხანუმა“, „უკანასკნელი ჯვა-როსნები“. განსაკუთრებით საყურად-ღებოა მის მიერ განსახიერებული როსტომი მეჯიხურე კინოსურათ „ჯანყი გურიამი“, და ქაჯთა მეფე — „ქაჯეთში“.

ახლა სანდრო კანდელაკი მცხეთაში მსახურობს. სამოც წელს გადაცილე-ბულ გოლიათს ხშირად ნახავთ მცხე-თის წყლის სპორტის სადგურში, სა-დაც ის ახალგაზრდა სპორტსმენებს და სპორტის მოყვარულებს ნახულს და გაგონილს უამბობს.



← კადრი ფილმიდან: „ჯანყი გურიამი“.



კადრი ფილმიდან: „ქაჯანა“.

## „აი რას ავბობს ისტორია“

ბ. გიორგაძე



### „თქვენთვის, ჩემო პატარებო“

ხაბლიტაჰმა გამოსცა პოეტ-აკადემიკოს იოსებ გრიშაშვილის საბავშვო ლექსების წიგნი — „თქვენთვის, ჩემო პატარებო“. როგორც ცნობილია, იოსებ გრიშაშვილი ბავშვების საყვარელ პოეტადაც ითვლება. წლების მანძილზე იგი ნაყოფიერად მუშაობს ნორჩი თაობისათვის, მათთვისაც წერს გულშისაჩვენებელ, ლამაზ, აღმაფრთხილებელ სტრიქონებს. აღნიშნულ წიგნში შეტანილია პოეტის თითქმის ყველა ცნობილი საბავშვო ლექსი. წიგნში წარმოდგენილია ჯერ კიდევ 1909-1926-27 წლებში დაწერილი ლექსები, უფრო ფართოდ არის მოცემული ავტორის ბოლო წლების შემოქმედება. წიგნი იხსნება ცნობილი ლექსით „დიდება ბელადს“, რომელიც 1944 წელს არის დაწერილი და რომელმაც ფართო პოპულარობა მოიპოვა მკითხველებში. აქვე წარმოდგენილი აგრეთვე ავტორის ცნობილი ლექსები: „ახალი თბილისი“, „დიდი ბელადს პატარა გორელებისაგან“, „ლენინის ხსოვნას“, „დაეუფლე რუსულ ენას“, „სტალინის თაიგული“, „ბრძოლის გმირებს, შრომის გმირებს“, „ჩვენ მშვიდობა გვინდა“, „ონავარი“, „ახანთქება“ და სხვ. აღნიშნულ ლექსებში პოეტა უმღერის ჩვენი ბავშვების ბედნიერ და სამაგურ ცხოვრებას, ხალხთა მეგობრობას, მშვიდობას, ნორჩ თაობას უნერგავს შრომისა, სიბეჯითისა და პატიოსნების სიყვარულს, მოუწოდებს კარგი სწავლისაკენ, ამხილებს ონავარ და ზარმაც ბავშვებს.

იოსებ გრიშაშვილი ითვლება დიდი სიმეხი მწერლის ოვანეს თუშანიანის ნაწარმოებების საუკეთესო მთარგმნელად. მის თარგმანებს შენარჩუნებული აქვს ორიგინალის სიხდავე და ლაღი მღინარება. აღნიშნულ წიგნში წარმოდგენილია ოვანეს თუშანიანის „ძალი და კატა“ და „ერთი წვეთი ზაფხული“, აგრეთვე ი. კრილოვის „ხარაზი და იჯარადარი“. წიგნში შეტანილია აგრეთვე ავტორის მიერ დამუშავებული ქართული ხალხური ზღაპარი „სიზმარი“. კრებულს ბოლოში დართული აქვს ზოგიერთი სიტყვის განმარტება. წიგნი კარგად არის დასურათებული მხატვარ ზ. გოგოლაშვილის მიერ. რედაქტორია ქეთევან ქუჩუკაშვილი.

მ. ალექსიშვილის წიგნი — „აი რას ავბობს ისტორია“, რომელიც ამას წინათ საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობამ გამოსცა, მოთხრობილია პირველყოფილი თემური და მონათმფლობელური ფორმაციების ისტორია. როგორც ავტორი აღნიშნავს, წიგნის მიზანია: „მშრომელი მასების მდგომარეობაზე მარქსიზმის კლასიკოსების გენიალური დებულებებიდან გამოსვლით, ისტორიული ფაქტების მოყვანით და შეძლებისდაგვარად მათთვის მეცნიერული ინტერპრეტაციის მიცემით მკითხველს გააცნოს საზოგადოების მატერიალური დოვლათის მწარმოებელი მშრომელი მასების ისტორია, ექსპლუატირებულ კლასთა ცხოვრების პირობები და ის, თუ რას ავბობს ეს ისტორია ამ კლასების წარსულ ისტორიულ ყოფასა და მდგომარეობაზე“.

მ. ალექსიშვილს ეს ამოცანა ძირითადად კარგად დაუძღვია. სარეკლამოზო შრომის მთავარი ღირსება ისაა, რომ იგი დაწერილია საზოგადოების ისტორიის მარქსისტული გაგების საფუძველზე.

შრომა „აი რას ავბობს ისტორია“ შედგება შესავლისა და 22 თავისაგან. შესავალში აღბრუნებულია ისტორიის მნიშვნელობისა და ისტორიის სწავლების მეთოდის ზოგიერთი საკითხი. პირველ სამ თავში ზოგადად, მაგრამ პოპულარულად მოცემულია რეალიზისა და მეცნიერების შეხედულებანი დედამიწის წარმოქმნისა და ორგანული სამყაროს განვითარების შესახებ, ადამიანის წარმოშობის ისტორია, თვით მისი წინაპრების ისტორიით, ბოლოს განხილულია წინაკლასობრივი საზოგადოების წარმოშობა და მისი დაშლა.

მონობის წარმოქმნასა და ამ მონების მიმე მდგომარეობის დახასიათებას შრომის ნახევარი უკავია (11 თავი). ეს ბუნებრივიც არის, რადგან წიგნის მთავარი ამოცანა მონათმფლობელური ფორმაციის დახასიათებაა. წიგნის ამ თავებში დოკუმენტალური მასალის საფუძველზე განხილულია მონობის წარმოქმნის წყაროები, მონური შრომის გამოყენება მეურნეობასა და ოჯახში; მონების რაოდენობა და ფასი, მონების უფლებრივი მდგომარეობა და დასჯის სახეები, მონათა ემანსიპაციის საკითხი ანტიკურ ლიტერატურაში.

ცალკე თავი აქვს დათმობილი ანტიკურ შეხედულებათა გადმოცემას და გარჩევას მონურ შრომასა და მონაზე. აქ შედარებით მეტი ადგილი აქვს დათმობილი მონათმფლობელური იდეოლოგიის ყველაზე დიდი წარმომადგენლის არისტოტელეს მოძღვრების გარჩევას, რადგან მასში ყველაზე უფრო სრულად აისახა ანტიკური მონათმფლობელური შეხედულებანი მონასა და შრომაზე. ავტორი აკრიტიკებს არისტოტელეს თეორიას, რომელიც ამტკიცებდა, რომ მონობა თვით ბუნებამ დააწესა და იგი მარადიული კატეგორიაა, რომლის გარეშეც არასოდეს ადამიანთა არც ერთ საზოგადოებას არსებობა არ შეუძლია, რომ ეს მონობა თვით ბუნებისთვისაც სამართლიანი და სასარგებლო მოვლენაა.

წიგნში — „აი რას ავბობს ისტორია“ მიმოხილულია გლადიატორთა ბრძოლა და მონათა მასობრივი აჯანყებები ძველ ქვეყანაში. ამ თავების წაკითხვით მკითხველისათვის უფრო ცხადი ხდება მონათმფლობელურ კლასის მორალური გაზრწა და მანკიერება ერთი მხრივ და, მონის უმოწყალო ექსპლუატაცია მეორეს მხრივ. ავტორი სამართლიანად დასაყენის, რომ მონების აუტანელი ეკონომიური მდგომარეობა და ჩაგვრა იწვევდა მონათა აჯანყებებს მონათმფლობელების წინააღმდეგ.

ჩვენ სწორად მიგვაჩნია როცა მონებისა და მონათმფლობელების მდგომარეობის აღწერასთან ერთად, შრომაში მიმოხილულია აგრეთვე წერილი მწარმოებელი გლეხებისა და ხელოსნების მიმე

მდგომარეობა და მათი ბრძოლა მსხვილ მონათმფლობელთა წინააღმდეგ. მ. ალექსიშვილის წიგნი — „აი რას ავბობს ისტორია“ ამ საკითხს მიძღვნილი აქვს ოთხი თავი და ისიც უმთავრესად რომის ისტორიიდან, რადგანაც ამ წერილ მწარმოებელ ღარიბთა და ლუმპენპროლეტართა ბრძოლას შეძლებულ მონათმფლობელთა წინააღმდეგ ყველაზე უფრო მძაფრი ხასიათი სწორედ რომში ჰქონდა.

დასასრულ შრომაში გაშუქებულია რომის მონათმფლობელური სახელმწიფოს დაცემის მიზეზები. ავტორი არკვევს რა რომის მონათმფლობელური სახელმწიფოს დაცემის მიზეზებზე ერთიმეორის საწინააღმდეგო მრავალ ბურჟუაზიულ თეორიებსა და შეხედულებებს, სამართლიანად დასაყენის, რომ რომის მონათმფლობელური სახელმწიფოს დაცემის ძირითადი მიზეზი იყო წარმომის მონური წესის კრიზისი, რომელიც ბორკავდა საწარმოო ძალთა შემდგომ ზრდას, არა რენტაბელურ შრომად აქცევდა მონურ შრომას და საფუძვლად ედებოდა კლასობრივ ბრძოლებისა და მონათა რევოლუციების გაძლიერებას (გვ. 411). მართალია, ადამიანთა საზოგადოების ისტორიის ობიექტურ კანონზომიერებათა გარდუვალობამ მონობა მოსპო, მაგრამ მონობის ამ მოსპობას არ მოყოლია ექსპლუატაციის მოსპობა. „მონების რევოლუციამ მოსპო მონათმფლობელები და გააუქმა მშრომელთა ექსპლუატაციის მონათმფლობელური ფორმა. მაგრამ მათ ნაცვლად მან დადამყარა მშრომელთა ექსპლუატაციის ბატონყმური ფორმა. ერთი სახის ექსპლუატატორები შეცვლეს სხვა ექსპლუატატორებმა“ (ი. ბ. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“ გვ. 524) — მონათმფლობელური წყობილება შეცვალა ფეოდალურმა წყობილებამ. ასე დაიწყო მშრომელი ადამიანის ჩაგვრისა და წამების მეორე დიდი პერიოდი — ფეოდალური პერიოდი. როგორც ავტორი გვირგვინავს, მშრომელი ადამიანის (ყმაგლეხის) ჩაგვრისა და წამების ეს მეორე პერიოდი განხილულ იქნება „აი რას ავბობს ისტორიის“ მეორე წიგნში.

მ. ალექსიშვილის წიგნი — „აი რას ავბობს ისტორია“ (რედაქტორი დ. გვრიტიშვილი) ინტერესით იკითხება. იგი სამსახურს გაუწევს ჩვენს ახალგაზრდა მკითხველებს მშრომელი მასების ისტორიის შესწავლაში.



საქართველოს  
ბიბლიოთეკა

# ბავშვთა გულის მესაიდუმლე

ბავშვთა გულის მესაიდუმლე, შრომობ მღვიმეში ჩუბადა, ბავშვების ჭირი და ლხენა გულს მიგაჩნია წყლულადა...

სწორად ვაჟა-ფშაველა შიო მღვიმელს. შიო მღვიმელი მართლაც იმსახურებს დიდი მწერლის ასეთ შეფასებას; იგი ჭეშმარიტად „ბავშვთა გულის მესაიდუმლე“ იყო; რამდენი თაობა გაზრდილამისი უბრალო, მაგრამ გულწრფელი ამაღლებელი ლექსებით, რომლებიც არასოდეს არ ავიწყდება ადამიანს; ბავშვობისას წაგიკითხავს და გისწავლია, მაგრამ მთელს შენს სიცოცხლეში გახსოვს. და არც თუ ისე იშვიათად ხდება, რომ ახლა, უკვე მოხუცებაში წესულ პაპას, ესმის, როგორ ზეპირობს თავისი შვილიშვილი შიო მღვიმელის „პაწია მერცხალს“ ან რომელიმე სხვა ლექსს, და თვალზე ხიხინავს ცრემლი მოადგება. ამ ლექსმა, რომელიც მას რამდენიმე ათეული წლის წინათ უსწავლია, როცა თავისი შვილიშვილის ოდენა იყო, ახლა ბავშვობა მოაგონა და ჩააფიქრა. ასეთი შთამაგონებელი ძალა აქვს ჭეშმარიტ პოეზიას, რომელიც ხალხის სამსახურში დგას და ადამიანის კეთილდღეობას უმღერის. შიო მღვიმელის ლექსებს მუდამ ჰქონდათ გამაკეთილშობილებელი და სულიერად ამაღლებელი ძალა. მისი სიტყვა ყოველთვის მართალი და გულთან ამოსული იყო. ძველ დროში, როდესაც მშრომლები და მათი პატარა ბავშვები უსიხარულოდ მიათრევდნენ ცხოვრების ძნელ დღეებს, შიო მღვიმელის ლექსი, გამობატავდა რა მშრომელთა კლასის უკიდურეს ჩაგვრას და ექსპლოატაციას, მაინც ოპტიმისტური განწყობილებით იყო გაუღწეოლი:

კუბოს რომ ვიწვე უძღურნი,  
მელოდეს დამიწებაო,  
მაინც შეეძახებ ქვეყანას:  
დაიცა, გათენდებაო. — წერდა პოეტი.

თავისი შემოქმედებითა და პირადი ცხოვრების მაგალითით შიო მღვიმელი ნორჩ თაობას უნერგავდა პატიოსნებას, სამართლიანობას, კაცობიერებას, ერთა შორის ძმობასა და სოლიდარობას. მისი უაღრესად პატრიოტული ლექსები, მისი თავისუფლებისთვის ბრძოლისკენ მომწოდებელი სტრიქონები, მუდამ ალაფრთოვანებდნენ მკითხველებს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პოეტის მადლიანი კალამი კიდევ უფრო მეტის გატაცებით ემსახურებოდა მშრომელი ხალხის კეთილდღეობას, მის ბედნიერ ცხოვრებას უმღერდა. შიო მღვიმელი უდიდესი ალფრთოვანებით შეხვდა დიდ რევოლუციას, რომელმაც საბოლოოდ მოსპო მშრომელთა ჩაგვრა და ხალხს სიხარული და ბედნიერება დაუმიკვიდრა:


ჩემო ტკბილო საქართველოვ,  
მოგილოცავ დღის-დღესა;  
მონობიდან თავდახსნილო,  
ალარ ისმის შენი კენესა...

შიო მღვიმელმა მთელი თავისი ცხოვრება და ნიჭი ნორჩი თაობის აღზრდას მოახმარა. „მუდამ თქვენი სიყვარული მამხნევეს და მასალადევეს“, მიმართავდა იგი ბავშვებს. არც ერთ ქართველ მწერალს იმდენი არ დაუწერია ბავშვებისათვის, რამდენიც შიო მღვიმელმა დაწერა. მისი ბევრი ლექსი ბრწყინვალე მარგალიტებად შევიდა ქართულ საბავშვო ლიტერატურის საგანძურში. პოეტის კალამით დაწერილ ჩვენი ქვეყნის მშენებელი პეიზაჟებს, უდიდესი ოსტატობით დახატულ წელიწადის ოთხივე დროის სურათებს, რომლებიც მღვიმელის პოეზიაში ბავშვების ყვილ-ხივილითაა გაცოცხლებული, არასოდეს არ მოაკლდებათ ელვარება. ორი ათეული წლის წინათ, 1933 წ. დეკემბერში გარდაიცვალა ბავშვების საყვარელი „ძია შიო“. მის ლექსებს დღესაც სიხარულითა და ინტერესით კითხულობენ ბავშვები. გაივლის კიდევ მრავალი ათეული წელი და ამ სტრიქონებს კიდევ მრავალი თაობა დაიხეპირებს:

„მე პაწია მერცხალი ვარ,  
მოჭიკიკიკე, მოლაღრსე,  
ნეტავი რა დაგიშვევ,  
ქეებს რომ მესერი, ბიჭო სესე?!

სიყვარულით, სიხარულით  
მთები, ზღვები გადმოვლესე,  
სანამ შენთან მოვიდოდი  
ერთხელაც არ დავიკენესე...

### 3. გიორგობიანი



## ილია ალბაშიშვილი

### შოთა ძიძიუხი

ილია ალბაშიშვილი ეკუთვნოდა რევოლუციამდელი ქართველი ინტელიგენციის იმ პლეადას, რომელიც დაუღალავად და უმწიკვლად იღწეოდა სამშობლო-ქვეყნის უკეთესი მერმისისათვის, უნაგაროდ ემსახურებოდა თავისი ხალხის გათავისუფლების მიზანს, გარკვეული წვლილი შეჰქონდა მშობლიური კულტურის განვითარებაში.

დაიბადა ილია ალბაშიშვილი 1853 წლის 16 ნოემბერს სოფ. ხიარში (ყოფ. სიღნაღის მაზრა), ხალაო გარდაიცვალა თბილისში 1921 წლის 27 იანვარს.

ილია ჭავჭავაძის პროგრესულ იდეებზე აღზრდილი ილია ალბაშიშვილი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ფერხულში იყო ჩაბმული. იგი მხურვალე მონაწილეობას იღებდა ჯავახეთის რამდენიმე სოფელში სკოლების და ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გახსნაში, ახალქალაქში ქართული გიმნაზიის დაარსებაში. ალბაშიშვილი წლების მანძილზე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების რწმუნებული იყო მესხეთ-ჯავახეთში.

ილია ალბაშიშვილმა ლიტერატურული მუშაობა დაიწყო 1875 წელს (გაზ. „დროება“).

მისი წერილები სისტემატურად იბეჭდებოდა ჩვენს ყურნალ-გაზეთებში.

ილია ალბაშიშვილი მოგზაურობდა მესხეთ-ჯავახეთის სოფლებში და სწავლობდა ამ მხარეს. მან შეაგროვა ფასდაუდებელი ფოლკლორული მასალა, რომელიც შუქსა ჰფენს სამხრეთ საქართველოს ისტორიულ ვითარებას, ამ კუთხის მშრომელთა შეუპოვარ ბრძოლებს უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ილია ალბაშიშვილის მიერ ფიქსირებული მრავალი ხალხური ქმნილება შესულია ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების საუნჯეში.

ილია ალბაშიშვილი შესანიშნავ დამკვირვებლობას იჩენს საქართველოს ამ კუთხის ეთნოგრაფიული სინამდვილისადმი. მის ნაწერებში გაბნეულია ძვირფასი მასალა, ამსახველი მესხ-ჯავახთა ხალხური წეს-ჩვეულებების დეტალებისა, ყოფითი რეალიებისა.

ილია ალბაშიშვილის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოქცეული არქიტექტურული ძეგლებიც. მათი აღწერილობანი უხვად ჩართულია ალბაშიშვილის სხვადასხვა ნაშრომში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი შრომა: „გარძის მონასტერი“.

ჯავახეთის ისტორიის ეთნოგრაფიის, ფოლკლორის შესასწავლ მასალას უხვად იპოვის მკვლევარი ილია ალბაშიშვილის წიგნში „ბუნება და ცხოვრება“ (1897 წ.), სადაც მჯავახეთის დღევანდელი სახანოებისა და ქართველთა ამ კუთხის ძნელდობა ისტორიულ წარსულში, მისი აწინდელი ყოფა და ხალხური სიტყვიერების ნიმუშები. ამ შრომის გვერთა არის აგრეთვე დაწერილი ალბაშიშვილის „რაჭა-ლეჩხუმი, მისი ბუნება და ხალხის ცხოვრება“. მისი ერთ-ერთი უმთავრესი პოპულარული ნაშრომია შესანიშნავი ენით დაწერილი ნარკვევი: „მტკვარი, ჭოროხი, რიონი“, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს მიმზიდველობა.

გარკვეული ამაგი დასდო ილია ალბაშიშვილმა ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის დადგენის საქმეს. ილია ალბაშიშვილის გულისყური უმთავრესად მიპყრობილი იყო საბუნებისმეტყველო ტერმინოლოგიის დადგენისკენ (ილია ალბაშიშვილმა საუნჯევის სიტყვა განათლება ბუნებისმეტყველების განხრით მიიღო).

ილია ალბაშიშვილი თავის სატერმინოლოგიო მუშაობაში ეყრდნობოდა ილია ჭავჭავაძის მიერ წამოყენებულ დებულებას: „ენას კანონს თვითვე ენა აძლევს“. იგი არა ერთგან აღნიშნავდა, საჭიროა ყური მივუგდეთ ხალხს, საფუძვლიანად შევისწავლოთ მდიდარი ხალხური მეტყველება და იქიდან ამოვიკრიფოთ ჩვენთვის საჭირო ტერმინები. ამავე დროს, ილია ალბაშიშვილი მიუთითებდა ქართული კლასიკური ენის ლექსიკონის გამომუშავებაზე.

ილია ალბაშიშვილის ლინგვისტური ალღო არ ტყუვდებოდა, როდესაც იგი სამეცნიერო ტერმინების დადგენის დროს ანგარიშს უწევდა, რამდენადაც ეს მას შეეძლო, ქართული ენის შინაგან კანონზომიერებას, — მხოლოდ ისეთი ტერმინი დამკვიდრდება ენაში, რომელიც გამომუშავებულია ქართული ენის ბუნებისა და თვისების მიხედვით, ამბობდა ის.

მეორე მხრივ აღსანიშნავია შემდეგი.

ალბაშიშვილის მოღვაწეობის დროს ასეთმა მანერ ტენდენციამ იჩინა თავი სამეცნიერო ტერმინოლოგიის დადგენის საქმეში: ყოველი ტერმინი უნდა გავაქართულოთ, არავითარი უცხოური სახელწოდება არ უნდა დავნერგოთ, — აცხადებდნენ ჩვენში პურისტული განწყობილების ავტორები. ილია ალბაშიშვილი შეებრძოლა ამ შეხედულებას; მან კარგად იცოდა, რომ სამეცნიერო ტერმინოლოგია შეუძლებელია ასცდეს ინტერნაციონალურ, საყოველ-


თაოდ მიღებულ ტერმინოლოგიურ ტრადიციებს. მოკუსმინოთ მას: „ბუნებისმეტყველებას თავისი საკუთარი ანბანი და ლექსიკონი აქვს. მაშასადამე, ძალიანაც ნუ გეუცხოვებათ, ნუ გაიკვირებთ, უკეთუ ხშირად შეხვედებით ამ ჩვენს შრომაში უცხო სახელებს. ამ გარემოებას ვერც ერთმა ჩვენზე უადრესად განათლებულმა ერმა ვერ აუქცია მხარი და ვერც ჩვენ ავიცილებთ თავიდან, და არც თუ საჭიროა“.

ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის დარგში ალხაზიშვილის დამსახურებიდან აქ მივეთითებთ ორიოდ მაგალითზე.

ილ. ალხაზიშვილი ასაბუთებდა ქიმიური ტერმინის „ჟანგბად“-ის უპირატესობას „მჟავბად“-თან შეპირისპირებით (მხარს უჭერდა პროფ. პეტრიაშვილს). დღეს ეს ტერმინი საბოლოოდ მიღებულია. მის ღვაწლს მიეწერება აგრეთვე ისეთი მნიშვნელოვანი ქიმიური ტერმინის დადგენაც, როგორცაა „მჟავა“. ამ უკანასკნელის გამო ალხაზიშვილი ამბობს: „ეს ტერმინი ქართული ენის ბუნებასაც ეთანხმება (მაგალ. ფერა-ფერა, ჭია-ფერა, ჩიტისთვალა...) და სხეულის ქიმიურ ბუნებასაც. მაგალ. საჭიროა გოგირდმჟავა მარილები, ნაწირომჟავა მარილები, ფოსფორმჟავა მარილები...“ ამ ამონაწერებიდან ჩანს, რომ ილ. ალხაზიშვილი „მჟავა“-ს შემოტანას ასაბუთებს, ჯერ ერთი, იმით, რომ სიტყვის წარმოება ქართულისებურია, და მეორეც, კომპოზიტურ შეხამებაში ადვილად ხერხდება მისი გამოყენება ადექტივის ფორმით.

ილ. ალხაზიშვილმა სიცოცხლეში ვერ მოასწრო გამოქვეყნებინა თავისი მრავალი წლის მუშაობის შედეგები ტერმინოლოგიის დარგში. ასეთებია, მაგალითად, მისი „ფარმაკოტეკნიკური ტერმინები ანუ ქართულ-რუსულ-ლათინური სახელები წამლებისა (შეიცავს 2178 ტერმინს) და „ბუნების ლექსიკონი“ (ბრემის სისტემის მიხედვით).

მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ალხაზიშვილი ვერ მოეწყო თავისი სამშობლოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას, ვერ მოეწყო იმ დროს, როდესაც კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით სინამდვილედ იქცა ხალხის საქმისათვის თავდადებული ადამიანების ოცნებანი. ილ. ალხაზიშვილისთანა მუშაკების საუკუვარი საქმე—ეგრძელ ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის მოწესრიგება—დღეს სახელმწიფოს მხრულწველობის საგანია და, ამდენად, მის განვითარებას მკვიდრი საფუძველი აქვს ჩაყრილი.



## გამოჩენილი კვამობი და ღოსგაქარი

პროფ. გ. კობახიძე

ხუთმა წელმა განვლო დიდი ქართველი დოსტაქრის, საქართველოში ქირურგიული სკოლის შემქმნელის, სპეციალისტთა მრავალი თაობის აღმზრდელის—გრიგოლ მიხეილისძემ მუშაობის გარდაცვალებიდან. გრიგოლ მუხაძე მოწინავე მეცნიერი იყო. მისი ყოველდღიური დაუღალავი კვლევითი მუშაობა დაკავშირებული იყო პრაქტიკულ საქმიანობასთან. პიროვნების, ბოტანიკის, ინოზემციევის, სეჩენოვის, პავლოვის, ფედოროვის, ოპელის, სკლიფოსოვის, მიშის ტრადიციებზე აღზრდილმა გრ. მუხაძემ საქართველოში დაბრუნების შემდეგ საფუძველი ჩაუყარა ქირურგთა სკოლას საქართველოში.

მისმა მოღვაწეობამ განსაკუთრებით შეისხა ფრთები მას შემდეგ, როცა სამკურნალო ფაკულტეტი ჩამოყალიბდა თბილისის უნივერსიტეტში, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელი თვითონვე იყო.

გ. მ. მუხაძემ, როგორც დოსტაქარმა პირველი დიდი დანერგა ჩვენში ქირურგიის ახალი მიღწევები და ამ ნიადაგზე გაშალა პედაგოგიური მუშაობაც.

მუხაძე თავისი მოწაფეების მიმართ იყო მგრძობიარე, ყურადღებიანი, მათთან ჭკონდა უბრალო და გულწრფელი დამოკიდებულება. იგი ყველასგან მოითხოვდა მტკიცე დისციპლინას, განურჩევლად მეცნიერული ხარისხისა, წოდებისა და თანამდებობისა. კარგი მუშაობისათვის იგი თავის მოწაფეებს მეგობრობას უმტკიცებდა არა სიტყვით, არამედ საქმით.

ორმოცდახუთი წლის საექიმო, სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში მან გამაჯივინა ოთხმოცზე მეტი მეცნიერული შრომა. მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაიწერა ხუთასამდე მეცნიერული შრომა.

გ. მ. მუხაძემ მოამზადა მრავალი მეცნიერი პედაგოგი უმაღლესი სასწავლებლისათვის, რომლებიც დღეს აწარმოებენ სასარგებლო მუშაობას მედიცინის დარგში.

დიდი სამამულო ომის ფრონტებზე მისმა მოწაფეებმა თავი ისახლეს და ასობით მეზობლებს სიცოცხლე და ბრძოლისუნარიანობა შეუნარჩუნეს.

უნდა აღინიშნოს გ. მ. მუხაძის დიდი დამსახურება, როგორც საქართველოს ქირურგიული საზოგადოების დამაარსებლისა; ეს საზოგადოება, რომელსაც იგი ოცდახუთი წლის განმავლობაში თავმჯდომარეობდა, მან აქცია დიდი მნიშვნელობის საზოგადოებრივ ორგანიზაციად, კადრების აღზრდისა და მათი ნიჭის გამოაშკარავების საქმეში. გ. მ. მუხაძე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ქართულ სამედიცინო ტერმინოლოგიის შექმნაში.

ახლა, როდესაც ჩვენი მედიცინის მუშაკებს შექმნილი აქვთ ყოველგვარი პირობა—მოწინავე საბჭოთა მეცნიერების მიღწევების საფუძველზე ემსახურონ ხალხის ჯანმრთელობას, განსაკუთრებული მაღლიერებით აღიწინებდა მრავალი თაობის აღმზრდელის სახელოვანი დოსტაქარისა და პედაგოგის გრიგოლ მუხაძის დაუფიქარი ღვაწლი მშრომელების წინაშე.



## ნიმო და ალაქსანდრე ბრიგოლოვის საულაქიანი

მოვდივარ თქვენთან, მთას დიდებულს თავს შევფარებ. თქვენს საფლავებთან მუდამ ქარი დაჰქრის ფრთიანი, — ეს ხულ ერთია ავდარია, თუ დღე მზიანი — თქვენს ახლოს ყოფნით, თქვენზე ფიქრით გულს ვავახარებ.

მე ჩუმად ვარხვე მოაჯირის ჩარაზულ კარებს— ერთი ქართველი მეოცნებე მარად მგზნებარე მე ვუხმობ მწუხარში თქვენი ტრფობის უნაზეს კარებს — უკვდავ სიყვარულს უაღერებს მაღლიდან მთვარე და ათოვს თქვენ გულს, მარად უტკნობს და აქ მდებარეს.

## ჩვენი ძველი პავარა სახლი

ისევ შენთან ვარ ჩემო დედავ, ნუ მეძღუდები. აი, ეს სახლი, ჩვენი ძველი, პატარა სახლი. ამა, ეს კიბეც ვაცვეთილი საფეხურებით... მაგრამ რათ ვერ მცნობ? ნუთუ ეგზომ შევცვლილვარ სახით?

ეგ არა უშავს! ნუ გაფიქრებს ჩემი ცვლილება, ხედავ, თვალები სიხარულით ისევ მაქვს სველი, ნუთუ ვერ ამჩნევ, თუ რარაგად მეადვილება დავციე შენს წინ და მუხლებზე მოგვიფიხე ხელი?

მხოლოდ დამაცა, დედა ჩემო, ნუ გეჩქარება! ჩავალ ჩვენს ბაღში, ხედავ ცვარი იწყებს გაშრობას. ო, მე ოდენაც აქ დავკარგე ცისფერთვალემა ჩემი უბიწო სიყმაწვილე, ჩემი ბავშვობა.


## ქუთაისის საღამო

მეწამულ ფერით იღებება ზეცის კიდური, ლალსა და ბადახშს ვიდაც აფრქვევს ღრუბლებზე უხვად — რიონის ველი იისფერად ჩანს დაბინდული, და შორით მთები ჩაძირულან ლაჟვარდში უხმოდ.

ბინდდება მშვიდად. გამუქებულ ხავერდის თაღზე მწვობრად ინთება ვარსკვლავების ნაზი კრებულები. პოეტის საფლავს და ბაგრატიის ნანგრევებს მთაზე დანათის ზეცა აღმასხვად გაბრწყინებული.

და ჟამს, როდესაც მოფრენილი გურიის მთებით შავი ზღვის სუნთქვა საამური ჰაერს აგრილებს, როცა ნიავი მოაღერსე გაშლილი ფრთებით გაივლის ქუჩებს და შეარხვეს ბაღებში ჩრდილებს, —

მწუხრის მორევში ჩაძირული წამით ქალაქი უცხად იელვებს, გაბრწყინდება და გაჩაღდება, და რიონის დაუშრეტი შუქის ბარაქით მშვიდი ცხოვრების და გვირუკი გარჯის ალაგო მზისებრ ნათელი, სხივოსანი ისევ ვახდება!



ბ. ნაღარაიშვილის რადკაციით

ამას წინათ, ციურინში (შვეიცარია) დამთავრდა ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონ მ. ბოტვინიკთან მატჩის პრეტენდენტთა საჭადრაკო მატჩ-ტურნირი. საბჭოთა მოჭადრაკეებმა ამ ტურნირშიაც ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. პირველი ადგილი და ბოტვინიკთან მატჩში შეხვედრის უფლება დამსახურებულად მოიპოვა საბჭოთა გროსმეისტერმა ვ. სმისლოვმა. ტურნირზე ბევრი საინტერესო პარტია გათამაშდა. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო სმისლოვ-რე-შევესკის პარტია, რომელშიც საბჭოთა გროსმეისტერმა გაიმარჯვა. ვებეჭდავთ აღნიშნულ პარტიას.

ინგლისური დასაწყისი.

თვითრები: სმისლოვი

შაგები: რეშევესკი

- 1. C2 — C4 მგ8 — f6 2. მხ1 — C3 e7 — e6
3. მკ1 — f3 კფ8 — b4 4. გ2 — გ3 b7 — b6
5. კფ1 — გ2 კC8 — b7 6. 0 — 0 0 — 0

ამ დებიუტის დროს თამაშს ძირითადად იწყებენ ასე: 1.... e5 2. მC3 მC6 3. გ3 გ6 4. კვ2 კვ7 5. e3 მგე7 6. მგე2 0 — 0 7. 0 — 0 db თანაბარი თამაშით ან 1.... e5 2. მC3 მფ6 3. მფ3 მC6 4. d4 e: d და ა. შ.

- 7. ლ11 — b3 კბ4 : C3
8. ლb3 : C3 d7 — d6
9. b2 — b3 ლ18 — e7
10. კC1 — b2 C7 — C5
11. d2 — d4 მხ8 — d7
12. გა1 — d1 კფ7 — e4
13. d4 : C5 მკ7 : C5
14. ლC3 — e3 e6 — e5
15. კვ2 — h3 a7 — a5
16. მფ3 — h4 ეფ8 — e8
17. f2 — f3 კე4 — გ6
18. ე11 — d2 ეა8 — d8
19. ეფ1 — d1 ლე7 — C7
20. მხ4 : გ6 h7 : გ6
21. კხ3 — გ2 მფ6 — h5

ბრძოლა მწვავე მანევრული თამაშით მიმდინარეობს


- 22. ლე3 — C3 მ 5 — f6
23. e2 — e4 მფ6 — h5

შაგების კონტრ-თამაში ამოიწურა, ამიტომ ისინი იძულებული არიან გადავიდნენ პასიურ თავდაცვაზე.

- 24. ლC3 — e3 მხ5 — f6
25. კვ2 — h3 მფ6 — h7
26. ე12 — C2 მ 7 — f6
27. ე11 — f1 მფ6 — h5
28. კხ3 — გ2 ლC7 — e7
29. კხ2 — C1 ლე7 — C7
30. ეფ1 — d1 მფგ8 — h7
31. ლე3 — f2 მხ5 — f6
32. კC1 — e3 მფ6 — h5
33. ეე2 — C2 f7 — f5
34. e4 : f5 გ6 — f5
35. გ3 — გ4 მh5 — f4
36. კე3 : f4 e5 : f4
37. ლf2 — h4 + მფh7 — გ8
38. გ4 : f5 d6 — d5

შაგებმა პოზიციის გასაუმჯობესებლად შესწირეს მეორე პაიკი.

- 39. C4 : d5 ლC7 — e5
40. ეC2 — d2 ე18 — d6



ამ მდგომარეობაში პარტია გადადებულ იქნა. თამაშის განახლებამდე ამერიკელმა გროსმეისტერმა მოწინააღმდეგეს ყაიმი შესთავაზა. სმისლოვმა უარი

განაცხადა. კონვერტი გახსნილ იქნა; სადაც სმისლოვს მეორმოცდერთე სულად ჩაწერილი ჰქონდა: 41. ეd2 — d4 42. მფკ1 — h1 43. ლh4 : f4 44. ე14 : f4


რეშევესკიმ მესამე პაიკიც დაკარგა

- 44. ...
45. ეf4 — გ4

და აქ ამერიკელი გროსმეისტერი სასტიკ ცეცხლტოტში აღმოჩნდა, მას ბოლო ათი სვლისათვის რამდენიმე სეკუნდი ჰქონდა დარჩენილი.

- 46. ეგ4 — გ6 მC5 — b7
47. ეგ6 — e6 ეე2 : a2
48. f3 — f4 ეა2 — b2
49. ეd1 — e1 ე16 : e6
50. d5 : e6 მს7 — d6
51. e6 — e7 + მფ8 — f7
52. კვ2 — d5 + მფ7 — e8
53. კd5 — C6 + მფე8 — f7
54. e7 — e8ლ + მ 6 : e8
55. კC6 : e8 + მფ7 — f6
56. კე8 — გ6 შაგები დანებდნენ.

ჭადრაკი



პორიზონტალურად:

1. ალბენისის საფორტეპიანო ნაწარმოები. 2. ერთ ერთი ძველი ციხე-ქალაქი საქართველოში. 7. სპეციალისტი. 11. მდინარე იტალიაში, რომელიც იულიუს კეისარმა გადალახა წინააღმდეგ სენატის დადგენილებისა. 12. ღვინის ძველბუთი სასმელი ჭურჭელი. 14. მხარე რსდსრ ში. 15. რჩეულ ნაწარმოები კრებულში, უთავრესად ლექსებისა. 16. კურორტი შავი ზღვის სანაპიროზე. 19. სამკუთხალო წყალი. 22. ღრიალურის რომანი 24. საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატი, პოეტი. 25. სტენდლის სახელი. 26. ასო, რომელიც ზღვრული სახელწოდება. 27. ვიზიისის რომანის გმირი. 28. ცდინაო, კავკასიაში. 29. ოფიციალური წერილობითი მიმართვა ერთი მთავრობისა მეორესად. 32. ისლეთის პრემიერ მინისტრი. 33. სხველს რომელიმე ოფიციის სუსტი, ანუ ოფიცისული ზანჯი იყოფა. 34. კურორტი საქართველოში. 35. ყაზბეგის რომანის გმირი. 38. ქართული ჭურჭელი. 39. თისამე პირველი ნიშნები. პირველი სახე. 40. ა. ფილანის ნაწარმოები. 44. რომელიმე მუსიკალური თემის მოვალეურ, დაქინებით გამოიყენება. 46. ძველი რომის ერთ-ერთი ცენტრალური. 47. დედაპიჯის ზედაპიჯის გადაცლა ბუნების მოვლენათა ზეგავლენით. 48. მდინარე სსრ კავშირში. 49. თურქეთის დედაქალაქი.

ვერტიკალურად:

1. რიტი. 2. სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები. 3. პოლიტიკური პარტია ინგლისში მე-17-19 საუკუნეებში. 4. წინის ერთეული. 5. წილ ხვედრი. 6. მდინარე სსრ კავშირში. 7. ქალაქი ჩრდ. კავკასიაში. 8. სახელმწიფო ევროპაში. 9. ლექსის ფორმა. 10. ქალაქი სსრ კავშირში. 13. მწიფობის ან საბრძოლო განლაგების განაჩიბა ნაწილი. 17. ძველბუთი რუსული ოქროს ჭული (მოხუცა). 18. ქალაქი მოლდავეთში. 19. ხმის ამოღება სიკვცის შუაში. 20. მთა თურქეთში. 21. კამიტალი სტუდია ქვეყნებისათვის დამახასიათებელი თვისება. 23. მუსიკალური თემის მოვალეურ. 24. სახელმწიფო და სახელმწიფო ნაწარმოები. 29. ტრასპორტის სახე. 31. ერთ-ერთი ამერიკული ოფიციალური დოქტრინის ავტორი. 32. ქალაქი ინგლისში. 36. დიდი ფლორი. 37. კიბური ქანის ნაწარმოები. 38. ოფიციალური ნაწარმოები — პიუნა-ესტა. 41. ქალაქი სსრ კავშირში. 42. ქალაქი საფრანგეთში. 43. მატობრინის ნაწარმოები. 46. ნორვეგიის დედაქალაქი. 46. თინის ტყავი.

რედაქტორი — გრ. აბაშიძე საარედაქციო კოლეგია: შ. ბუაჩიძე, შ. გვინიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გვიგნიშვილი, დ. დოლიძე, მ. სააკაშვილი, ი. ციციშვილი, ვ. ჰელიძე, უ. ჯაფარიძე. ნომერი გააფორმა ალ. ბანძელაძემ

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენანოვის პრ., № 91. ტელ. 3-95-38 | შპსი მ მან. | გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში. ლემოწერილია დასაბეჭდად 28/ХП-53 წ. გამოც. № 185 ნაბეჭდი ფურც. 3 1/2 ტირაჟი — 15.000 შეკვეთის № 957 უფ 15451

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке)





თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო  
კონსერვატორიის მეოთხე კურსის ფრიადოსანი სტუ-  
დენტი ლ. ფანცულაია ჩანგზე ასრულებს პ. ჩაიკოვს-  
კის ნაწარმოებს.



62/16

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

